# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 3 მაისი, 2011 წელი.

№81 (6692)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




## სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟისთვის ბრძოლა 21 მაისს დაიწყება! ②

## „ლავროვი სოხუმსა და ცხინვალში ძალის გამოუყენებლობის შესახებ წინადადებებს ამუშავებს“ ③



## მალე ინდუსტრიული მთავრობა გვეყოლება?! ④



## ვერა ქობალია აზერბაიჯანის მაღალ ეშელონებში არ მიიღეს ②

## საქართველოში რუსეთი მორიგ პროვოკაციებს გეგმავს ③



## №1 ტერორისტი მოკლულია

## „სამართლიანობის აღდგენის“ ოპერაცია ⑧

# იყიდე, გაყიდე, ქარვასლაა?!

## სამართალდამცველებმა ქართველი ფეხბურთელები დააკავეს

**კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გამოავლინეს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე საფეხბურთო კლუბების კორუფციული გარიგებები ტოტალიზატორების შავი ბიზნესის წამომადგენლებთან. როგორც შს სამინისტრო იუწყება, დააკავეს:**

საფეხბურთო კლუბ **„სამტრედიის“** კაპიტანი **სპარტაკ გოგია**, ფეხბურთელი **კახაბერ კირთაძე.**

ზუგდიდის **„ბაიას“** კაპიტანი **როინ ონიანი,** ფეხბურთელი **ლევან ვართაგავა.**

თბილისის **„ვიტ ჯორჯიას“** ფეხბურთელი **გიგა ბექვაია.**



აღნიშნული ფეხბურთელები სისტემატურად შედიოდნენ ფარულ გარიგებაში ტოტალიზატორის შავი ბიზნესის წარმომადგენელ **დავით გაბედავასთან** და დიდი ოდენობით თანხების სანაცვლოდ, წინასწარ ხელოვნურად განსაზღვრავდნენ თამაშების შედეგებს. აი, კონკრეტული ფაქტები:

2011 წლის 15 აპრილს გამართულ „სამტრედიის“ და ბოლნისის „სიონის“ მატჩში, სამტრედიის გუნდმა აიღო 15 000 ლარი. 2011 წლის 19 აპრილს ჩატარებულ თბილისის „დინამოსა“ და ზუგდიდის „ბაიას“ მატჩში, „ბაიამ“ აიღო 12 000 ლარი, ხოლო 2011 წლის 30 აპრილს ჩატარებულ „ვიტ ჯორჯიასა“ და „სიონის“ მატჩში, „ვიტ ჯორჯიამ“ აიღო 20 000 ლარი.

***რედაქციისგან:*** *ქართული ფეხბურთის მამები ამ მტკივნეულ თემაზე საუბრისას ყოველთვის ნიშნის მოგებით გვპასუხობდნენ, დაგვისახელეთ კონკრეტული ფაქტები და ზომების მიღება ჩვენზე იყოსო. საინტერესოა, აღნიშნულ სკანდალს როგორი კომენტარი მოჰყვება მათგან. ჩვენ კი გპირდებით, რომ მას მომავალში არაერთხელ დავუბრუნდებით.*




ძალა ხალხშია!



# საკაშვილის რეჟიმის დემონტაჟისთვის ბრძოლა 21 მაისს დაიწყება!

## „სახალხო კრების“ გადაწყვეტილება

**ყველას ეგონა, რომ გუშინდელი დღე ხმაურიანი, ცხელ-ცხელი ამბებით დასრულდებოდა, რასაც „სახალხო კრების“ მიერ დაანონსებული „2 მაისი“ გამოიწვევდა, თუმცა ასე არ მოხდა... უკვე მერამდენედ. კვლავ მოკლე ბრიფინგი და ქადილი ხელისუფლების დემონტაჟის დასაწყებად — ასე ჩაიარა „სახალხო კრების“ ბრძოლის საეტაპო დღემ, 2 მაისმა, თუმცა ყველაფერი ჯერ ისევ წინა გვაქვს.**

ცაგარელის ქუჩაზე, სადაც „სახალხო კრების“ ცენტრალური ოფისია, გალავნის კარებთან ადრიდანვე დაიწყო თავმოყრა ცნობისმოყვარე ჟურნალისტთა კორპუსმა, მათ შორის „რუსთავი-2“-ის სამი კორესპონდენტიც კი იყო, თუმცა შიგნით შეშვებაზე ორგანიზაციის რამდენიმე წევრმა უარი განაცხადა. ზუსტად 13 საათზე ალაყაფის ჭიშკარიც გაიხსნა, და ეზოში რამდენიმე მწკრივად განლაგებული კრების წარმომადგენლები დაგვხვდნენ. რის ვაივაგლახით ააწყეს კამერები ოპერატორებმა, გაჩუმდნენ მოზუზუნე კორესპონდენტები...

„სახალხო კრების“ გადაწყვეტილების ტექსტი ქალბატონმა ნონა გაფრინდაშვილმა წაიკითხა, გია ბურჯანაძემ სულ ორიოდე სიტყვით ომახიანად გაიმეორა, ბოლო ფრაზა: „21 მაისს, 15 საათზე, პარლამენტის წინ!“ და ბრიფინგიც დასრულდა, ყოველგვარი კითხვა-პასუხისა და კომენტარების გარეშე... არც ერთი ზედმეტი სიტყვა, ახსნა-განმარტება, უნდა დაველოდოთ 21 მაისს!!!

„სახალხო კრების“ ტექსტში ნათქვამია, რომ **„სააკაშვილისა და მისი დამნაშავე ხელისუფლების პოლიტიკის შედეგად დღეს საქართველო ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა: ხელიდან გვეცლება მამული, ილახება ქართული ენა, ქვეყანაში არ არსებობს დემოკრატია, გათელილია მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლება, დამკვიდრებულია შერჩევითი სამართალი, რეჟიმი მფარველობს მკვლელებს... დღევანდელი უგუნური და უპასუხისმგებლო პოლიტიკა საფრთხეს უქმნის საქართველოს სუვერენიტეტს და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მის სახელმწიფოებრიობას.**

**მსოფლიო თანამეგობრობა ხედავს, რომ ჩვენს ქვეყანაში სააკაშვილმა ყალბი და ფასადური დემოკრატია შექმნა. დემოკრატიულ საზოგადოებაში ხელისუფლება არჩევნების გზით იცვლება, მაგრამ კაცობრიობის ისტორია და მსოფლიოში განვითარებული მოვლენები, კიდევ ერთხელ აშკარად ადასტურებს, რომ ავტოკრატი და დიქტატორი ხელისუფალნი დემოკრატიულ არჩევნებს არ ატარებენ და თავისი ნებით არ მიდიან.**

**ვინაიდან, სააკაშვილის ავტორიტარულმა რეჟიმმა ხალხს მოუსპო შესაძლებლობა დემოკრატიული, სამართლიანი არჩევნებით გამოხატოს ნება, ამიტომ ხალხს დარჩა ერთადერთი გზა — გამოიყენოს მისთვის კონსტიტუციის მე-5 მუხლით გარანტირებული და მონიჭებული უფლება — თავისი ძალაუფლება განახორციელოს პირდაპირი და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების გამოყენებით“.**

„სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭო აცხადებს, რომ სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟისათვის აუცილებელი მოსამზადებელი სამუშაოები დასრულებულია: სრულ მზადყოფნაშია სამოქალაქო წინააღმდეგობის 74 კომიტეტი, ახალგაზრდული მოძრაობისა და შეფიცულთა რაზმების ათიათასობით წევრი, აქტივისტი და მხარდამჭერი.

პირველი საერთო-სახალხო გამოსვლა 21 მაისს გაიმართება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამით რაიმე დასრულდება, პირიქით, ეს იქნება ეტაპი, ასეთი პროტესტის მასობრივად დასაწყებად. აღმასრულებელმა საბჭომ დაავალა სამოქალაქო წინააღმდეგობის კომიტეტებს, უზრუნველყონ მხარდამჭერთა შეკრება ფილარმონიის წინ, აღმოსავლეთ საქართველოს მხარდამჭერები ავლაბრის მოედანზე შეიკრიბებიან, ხოლო დასავლეთისა — ვარდების მოედანზე. თავშეყრის სამივე ადგილიდან კოლონათა მსვლელობა გაიმართება თავისუფლების მოედნისკენ.

პარალელურ რეჟიმში იმუშავებენ აჭარისა და გურიის წინააღმდეგობის რაიონული კომიტეტები და აქცია გაიმართება ბათუმში, ერას მოედანზე. ასევე აქციები გაიმართება რამდენიმე ქალაქში ერთდროულად. „სახალხო კრების“ წარმომადგენლები დარწმუნებულები არიან, რომ პოლიტიკური ძალები მათ გვერდით დადგებიან და გადამწყვეტ ბრძოლაში მიიღებენ მონაწილეობას. ჯერჯერობით კრების გვერდით ბურჯანაძე და შაშიაშვილი დგანან, თუმცა გუშინდელ ბრიფინგზე მათთან იყო შალვა ხაჭაპურიძე, მანანა ნიკოლაიშვილი, რომელიც ნოღაიდელის პარტიის წევრია, ასე რომ, დრო კიდევ არის, მით უფრო, როცა მოლაპარაკებაზე თანახმა „რვიანი“ ასე გაბრაზებული და გაბითურებულიც კია.

**ამ ყველაფერში მთავარია მოქმედებათა ეტაპები და ხალხის სიმრავლე, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებს „სახალხო კრება“. „თითოეული ჩვენგანის აქტიურობა აიძულებს ხელისუფლებას სწრაფად და მშვიდობიანად დაემორჩილოს ხალხის ნებას. საერთო სახალხო გამოსვლები დამნაშავე რეჟიმის დემონტაჟით დასრულდება. ჩვენ სახლებში მხოლოდ გამარჯვებულები დავბრუნდებით!“ — აცხადებენ კრებაში. თუმცა სანამ დაბრუნებაზე ვილაპარაკებდეთ, მთავარია, ჯერ სახლებიდან გამოსვლა და საპროტესტოდ ხმის ამოღება. არის თუ არა საზოგადოება ამისთვის მზად? — ამის ერთგვარი ტესტი სწორედ 21 მაისი იქნება.**

თეა მოსია

ინფორმაცია

## ვერა ქობალია აზერბაიჯანის მაღალ ეშელონებში არ მიიღეს

**— აზერბაიჯანს მხედველობიდან არ გამორჩება საქართველოსა და სომხეთის დაახლოება, — ეს განცხადება აზერბაიჯანის პოლიტიკური ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრის ხელმძღვანელმა მუბარიზ აჰმედოღლუმ „სალამნიუსთან“ საუბარში გააკეთა.**

**— არა მგონია, რომ ჩვენ ძალიან სერიოზულად უნდა მივუდგეთ საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეების ბოლო დროს გახშირებულ ვიზიტებს სომხეთში. ამასთან ერთად, არც ის მგონია, რომ აზერბაიჯანს ყოველივე ეს მხედველობიდან გამორჩეს. აღვნიშნავ, რომ 25 აპრილს ბაქოში ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, რომელიც აზერბაიჯანის არც პრემიერ-მინისტრმა და არც პრეზიდენტმა არ მიიღო. მიმაჩნია, რომ ეს საკმაოდ სერიოზული სიგნალია აზერბაიჯანის მხრიდან, — აცხადებს აჰმედოღლუ.**

**აზერბაიჯანელი პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ საქართველოს სწრაფვას, დაუახლოვდეს სომხეთს, შესაძლოა რამდენიმე მიზეზი ჰქონდეს.**

**„მიმაჩნია, რომ სააკაშვილი ახლა მთელი ძალით ცდილობს გამოასწოროს რუსეთთან გაფუჭებული ურთიერთობები, სწორედ მათთან მისასვლელ გზებს ეძებს იგი და ამისათვის სომხეთის შუამავლად გამოყენებას ცდილობს“, — აცხადებს მუბარიზ აჰმედოღლუ და აღნიშნავს, რომ ამას გარდა, საქართველოს პრეზიდენტი ცდილობს, გაიმყაროს თავისი პოზიციები დასავლეთში, იგი ეძებს გზებს სომხური ლობისადმი, რომელიც საზღვარგარეთ არსებობს.**

**— სწორედ ამიტომაც მიმდინარე წელს საქართველოში ე.წ. სომხების გენოციდი პრაქტიკულად იმავე დონეზე აღინიშნა, რა დონეზეც თავად სომხეთში და ეს ფაქტია, — აცხადებს ექსპერტი.**

**— ხოლო რაც შეეხება საქართველოს ახლანდელი ხელისუფლების მოქმედებებს, მომავალშიც თუ ასე გაგრძელდა, აზერბაიჯანი ამისაგან გარკვეულ დასკვნებს გამოიტანს, — აცხადებს მუბარიზ აჰმედოღლუ.**

ვითარება

# ვითომ გაითვალისწინებენ საქართველოს პოზიციას?

## თეთრი სახლი კონგრესს რუსეთისთვის PNTR სტატუსის მინიჭებას და ამ საკითხის დროულად გადაწყვეტას სთხოვს

**მიმდინარე წლის ბოლოსთვის რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შეყვანის მიმართულებით ბარაქ ობამას ადმინისტრაციის დიდი ძალისხმევა არა რუსეთისთვის საჩუქრის გაკეთების სურვილით კი არა, არამედ ამერიკის ეროვნული ინტერესებით არის ნაკარნახები. ამის შესახებ, რუსული მედიის ცნობით, თეთრი სახლის მაღალჩინოსანმა მაიკლ მაკფოლმა განაცხადა.**

„რუსეთის მსო-ში გაწევრიანება და მის მიერ PNTR სტატუსის (მუდმივი ნორმალური სავაჭრო ურთიერთობები) მიღება ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამ საკითხზე მიმდინარე მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების საქმეში რუსეთის დახმარებას შეუძლია, მნიშვნელოვნად გაამყაროს ჩვენი ეკონომიკური კავშირები. უნდა აღინიშნოს, რომ, სხვა სფეროებისგან განსხვავებით, ეკონომიკური კავშირების კუთხით „გადატვირთვის“ დაწყებიდან დღემდე ხელშესახები პროგრესი არ შეიმჩნევა“ — აღნიშნა მაკფოლმა.

მისივე თქმით, **„აშშ-ს ესაჭიროება რუსეთთან თანამშრომლობა ბევრ გეოპოლიტიკურ საკითხში, მათ შორის — ირანთან დაკავშირებითაც, უფრო მჭიდრო ეკონომიკური კავშირები კი მოსკოვს ვაშინგტონთან თანამშრომლობის უპირატესობებს დაანახვებდა“.**

აღსანიშნავია, რომ როგორც კი რუსეთი მსო-ში შევა, კონგრესმა მისი PNTR სტატუსი უნდა დაადასტუროს, გამოიტანს რა ამ ქვეყანას ადამიანის უფლებათა შესახებ „ჯექსონ-ვენიკის შესწორების“ სახელით ცნობილი 1974 წლის კანონიდან. ეს კანონი ზღუდავდა ეკონომიკურ ურთიერთობებს სოციალისტური ბლოკის იმ ქვეყნებთან, რომლებიც რელიგიური უმცირესობების თავისუფალ ემიგრაციას აბრკოლებდნენ. 1994 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად თეთრი სახლი თვალს ხუჭავდა ამ შესწორებაზე, თუმცა ქაღალდზე იგი მაინც აგრძელებს მოქმედებას.

მაკფოლმა აღიარა, რომ ობამას არ ექნება სამართლებრივი საფუძვლები, კანონმდებლებს რუსეთის ამ სტატუსის მხარდაჭერა სთხოვოს, სანამ მოსკოვი მსო-ში გაწევრების საკითხზე მოლაპარაკებებს საბოლოოდ არ დაასრულებს. თუმცა, მისივე თქმით, „ადმინისტრაციას სურს, კონგრესმა ეს საკითხი არ გააჭიანუროს და საბოლოო შეთანხმებების მიღწევისთანავე უყაროს კენჭი“.

**„არ მჯერა, რომ რუსეთისთვის ამ სტატუსის დამტკიცების საკითხის გაჭიანურება ეფექტური საშუალებაა ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით მოსკოვზე ზეწოლის მოსახდენად. კონგრესმა ამ მიზნით რაიმე სხვა საშუალება უნდა მოძებნოს“,** — აღნიშნა თეთრი სახლის მაღალჩინოსანმა.

მან ვრცლად ისაუბრა იმ უპირატესობებზე, რომელთაც აშშ-ს რუსეთისთვის ამ სტატუსის მინიჭება მისცემდა.

**„წინასწარი გათვლით, რუსეთის მსო-ში შესვლისთანავე ამ ქვეყანაში ამერიკული პროდუქციის ექსპორტის მოცულობის გაორმაგება შესაძლებელი (ექსპორტის ამჟამინდელი მაჩვენებელი 19 მლრდ დოლარს შეადგენს). რუსეთის მსო-ში გაწევრება შესაძლებლობას მისცემდა აშშ-ს, რუსეთში ფრინველის, საქონლისა და ღორის ხორცის, სხვა საკვები პროდუქტების, ღვინის, ხილის, კაკლისა და სხვა პროდუქციის, მედიკამენტებისა და სამედიცინო აპარატურის, მძიმე მრეწველობისთვის საჭირო ტექნიკის, კერძოდ, ტრაქტორების, გაზისა და ნავთობის მოპოვებისათვის აუცილებელი აღჭურვილობის ექსპორტი მოეხდინა, ამერიკული კომპანიები კი, რომლებიც ტელესაკომუნიკაციო, საფოსტო და ფინანსების სფეროებში მოღვაწეობენ, რუსეთში საკუთარი ბიზნესის განვითარების შესაძლებლობას მიიღებდნენ,“** — აღნიშნა მაკფოლმა.

გარდა ამისა, მისივე აზრით, „თუ აშშ-ის კონგრესი რუსეთს PNTR სტატუსზე უარს ეტყვის, ამერიკა წინააღმდეგობაში მოვა მსო-ის წესდების იმ ნორმასთან, რომელიც წევრ ქვეყნებს სხვა წევრი სახელმწიფოების მოთამაშეებისთვის საკუთარი ბაზრების უპირობო და თავისუფალი წვდომის უზრუნველყოფას ავალდებულებს“.

ამასთან, მაკფოლის აზრით, **„თავად რუსეთს შეუძლია, საპასუხოდ უარი უთხრას ამერიკელ ფერმერებსა და კომპანიებს პირველობის იმ პრივილეგიებზე, რომელთა მოპოვება მათ რუსეთის მსო-ში გაწევრებისთანავე შეეძლებათ და მოვლენათა მსგავსი განვითარების შემთხვევაში ამერიკელები დაკარგავდნენ უპირატესობას ევროპელი, ჩინელი და სხვა კონკურენტებისადმი“.**

„გარდა ამისა, კონგრესის მიერ რუსეთისთვის PNTR სტატუსის მინიჭების გაჭიანურების შემთხვევაში ექსპორტის უკვე არსებული მოცულობა შესაძლოა, მნიშვნელოვნად შემცირდეს. აქედან გამომდინარე, ვთვლით, რომ რუსეთისთვის ამ სტატუსის მინიჭების საკითხზე კონგრესის გადაწყვეტილება ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური კავშირების განვითარებას არაერთი მომავალი ათწლეულისთვის მისცემდა ბიძგს“ — აღნიშნა მაკფოლმა.

აღსანიშნავია, რომ მის შემდეგ რუსეთის ფინანსთა მინისტრმა ალექსეი კუდრინმაც განაცხადა, რომ **„რუსეთი მსო-ში გაწევრების შესახებ მოლაპარაკებების დასრულებასთან მაქსიმალურად ახლოსაა“.**

შეგახსენებთ, რომ რუსეთი, რომლის ეკონომიკა მსოფლიოში ყველაზე მსხვილად ითვლება მსო-ის არაწევრ ქვეყნებს შორის, ამ ორგანიზაციაში გაწევრების საკითხზე მოლაპარაკებებს უკვე 18 წელია, მართავს.

„პირველი“

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ფაქტის შემდეგ

# „ლავროვი სოხუმსა და ცხინვალში ძალის გამოუყენებლობის შესახებ წინადადებებს ამუშავებს“

**„ჯეიმსთაუნის ფონდის“ ანალიტიკოსი ვლადიმერ სოკორი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ვიზიტს ეხმიანება და წერს, რომ „მოსკოვი სოხუმსა და ცხინვალში ძალის გამოუყენებლობის შესახებ წინადადებებს ამუშავებს“.**

**„25-26 აპრილს ოკუპირებულ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში „სამუშაო ვიზიტად“ ჩასულმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა რუსეთის მოთხოვნას, საქართველომ ცალკე აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმებები გააფორმოს, ახალი ელემენტები დაუმატა. თავისთავად ეს მოთხოვნა ისეთივე ძველია, როგორც საქართველო-რუსეთის მოუგვარებელი კონფლიქტი. ამ მოთხოვნით რუსეთი ცდილობს, 1990-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოსთან საკუთარ კონფლიქტზე პასუხისმგებლობას თავი აარიდოს. ათი წლის შემდეგ რუსეთმა მისი გარანტიით ძალის გამოუყენებლობის შესახებ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური შეთანხმებების ირგვლივ საკუთარი წინადადებები უფრო დააკონკრეტა. 2008 წლის აგვისტოს ინტერვენციის შემდეგ მოსკოვმა ეს მოთხოვნა კიდევ უფრო განავითარა და, როგორც ჩანს, ამ მხრივ პროგრესი მომავალშიც მოსალოდნელია“,** — წერს სოკორი.

მისივე აზრით, **„რუსეთს სურს, საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწეროს იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტს „ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმებას“ ორმხრივ საფუძველზე თითოეულ ამ ტერიტორიასთან, ოღონდ ამჯერად — ამ უკანასკნელთა ახალი, „სახელმწიფო“ სტატუსის გათვალისწინებით და აცხადებს, რომ ამ შეთანხმებების შესრულებაზე დაკვირვების „გარანტი“ ის იქნება — ან მარტო, ან როგორც რაიმე საერთაშორისო საგარანტიო ფორმატის ნაწილი“.**

**„ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯის სახით მოსკოვი აცხადებს, რომ თბილისმა, სოხუმმა და ცხინვალმა ჯერ ცალ-ცალკე უნდა გამოსცენ ძალის გამოუყენებლობის შესახებ ცალმხრივი განცხადება და შემდეგ „გაცვალონ“ ეს ცალმხრივი განცხადებები ორმხრივ საფუძველზე. ლავროვის იდეის თანამხად, ცხინვალში სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობამ საჯაროდ უკვე აიღო საკუთარ თავზე ეს ვალდებულება და მალე მის მაგალითს აფხაზეთის ხელისუფლებაც მიბაძავს. ვიზიტის დროს ლავროვმა ამ მოთხოვნას ორი ახალი ელემენტი დაუმატა: პირველი — საქართველომ „უპირობოდ“ უნდა მოაწეროს ხელი აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმებას და მეორე — გაერომ ამ ორი ორმხრივი შეთანხმების რატიფიკაცია უნდა მოახდინოს. როგორც ლავროვი აცხადებს, აღნიშნული შეთანხმებები რუსეთისთვის „ჟენევის პროცესში“ უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მიმართულებით უმაღლესი პრიორიტეტი იქნება“,** — აღნიშნავს უცხოელი ანალიტიკოსი.



ამასთან, იგი ყურადღებას იმ გარემოებაზე ამახვილებს, რომ თავად რუსეთი მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოსთან რაიმე მსგავსი შეთანხმების ხელმოწერაზე უარს აცხადებდა.

**„რუსეთის ხელმოწერა დაადასტურებდა, რომ მოსკოვი მთელი ამ ხნის განმავლობაში — როგორც ირიბად ამ ორი ტერიტორიის გზით, ასევე პირდაპირ, 2008 წლის ინტერვენციამდე და პირდაპირ ამ ინტერვენციის შემდეგ საქართველოსთან კონფლიქტის მხარე იყო. მოსკოვი განაგრძობს იმის მტკიცებას, რომ არა რუსეთი, არამედ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არიან საქართველოსთან კონფლიქტის მხარეები და საქართველოსთვის ამ „უპირობო“ ხელმოწერის მოთხოვნა ფაქტობრივად, ოკუპაციის გაზიარებას, საქართველოს სუვერენიტეტის უფლებაზე და დეპორტირებულთა სახლებში დაბრუნებაზე უარის თქმას ნიშნავს. მთელი ეს სქემა (და რუსეთის უარი, საკუთარი სქემის ნაწილი იყოს) პირველ რიგში, იმისკენაა მიმართული, რომ დაიმალოს რუსეთის, როგორც მხარის პასუხისმგებლობა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტში ამ კონფლიქტის არსებობის დღიდან. მეორეც, მისი მიზანია, რუსეთმა ამ შეთანხმებებზე ზედამხედველობის „გარანტის“, სამივე ადგილობრივი მხარის უსაფრთხოების არბიტრის როლი შეიძინოს; მესამე, რუსეთის ამ ორი პროტექტორატის სტატუსი საქართველოსას გაუთანაბროს და მეოთხე, ამ ორი სეპარატისტული ტერიტორიისთვის საქართველოს და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან აღიარება მიიღოს“,** — წერს სოკორი და აქვე დასძენს, რომ **„ირიბი აღიარების ეს ფორმა პირდაპირ აღიარებად გადაიქცევა, თუკი გაერო, ლავროვის ბოლო დამატების თანახმად, ამ შეთანხმების რატიფიკაციას მოახდენს“.**

მისივე აზრით, ლავროვის მიერ ამ წინადადების ჟენევის მოლაპარაკებებზე **„უმაღლეს პრიორიტეტად“ წარმოჩენის მცდელობა ემსახურება „რუსეთის ტაქტიკას, ეს პროცესი როგორმე მანდატით განსაზღვრულ საკითხებს, კერძოდ, ოკუპირებული ტერიტორიების დემილიტარიზაციას, მათ საერთაშორისო ხელმისაწვდომობას და დეპორტირებულთა სახლებში დაბრუნებას დააშოროს“.**

**„საქართველო, თავის მხრივ, აცხადებს, რომ ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულება ხელმოწერილი უნდა იქნას რუსეთსა და საქართველოს შორის. საქართველომ ასეთი ვალდებულება საკუთარ თავზე ცალმხრივად აიღო და რუსეთს ანალოგიური ნაბიჯისკენ მოუწოდა. ამის შემდეგ თბილისმა აღნიშნული ვალდებულება ოფიციალური განცხადების ფორმით, წერილების სახით ყველა წამყვან საერთაშორისო ორგანიზაციასა და ჟენევის პროცესის მონაწილეებს დაუგზავნა. საქართველოს სურს ასევე პირდაპირი დიალოგი რუსეთთან ყველა სადავო საკითხზე, მათ შორის — ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმებაზე, თუმცა რუსეთი საქართველოს მთავრობასთან ნებისმიერი ფორმის დიალოგზე უარს ამბობს“,** — წერს ანალიტიკოსი და ასკვნის, რომ **„მოსკოვი, როგორც ჩანს, რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ საქართველოში რეჟიმის შეცვლის გეგმას მაინც ინახავს“.**

**ხათუნა გაგნიძე**

ლევილის მამული საქართველოს გადმოეცემა



# „ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე...“

**ლევილის მამული საქართველოს გადმოეცემა. შესაბამისი მემორანდუმი დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და საფრანგეთის ქართულ დიასპორას შორის უკვე გაფორმდა.**

უახლოეს პერიოდში ერთობლივი კომისია შეიქმნება, რომელიც გადაწყვეტს, თუ რა ფუნქცია ექნება მამულს.

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაპუნა დავითაიამ უკანასკნელი დეტალები ქართულ დიასპორასთან უკვე შეათანხმა.

პაპუნა დავითაიამ „ამხანაგობა ქართული კერის“ თავმჯდომარე ირინა ციციშვილთან ვიდეოკონფერენცია გამართა და მამულის გადმოსაცემად საჭირო ტექნიკურ საკითხებსა და მის შემდგომ გამოყენებაზე ესაუბრა. ვიდეოკონფერენციაში მონაწილეობდა ნოე ჟორდანიას შვილიშვილი ნიკოლ ჟორდანიაც.

1930 წლიდან ლევილში პირველი ქართველების დაკრძალვა დაიწყო. დასაფლავებებს დასაფლავებები მოჰყვა და ამგვარად არაოფიციალურად შეიქმნა „ქართული კვადრატი.“ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომომ (რომელსაც მაშინ შარლ სკამკოჩაიშვილი ხელმძღვანელობდა) ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან სასაფლაოს გაფართოების შესახებ დაიწყო მოლაპარაკება.

ასოციაციის შემდეგი პრეზიდენტების (შალვა აბდუშელის, ელისე პატარიძის და ლევან ზურაბიშვილისძ აქტიურობამ ამ საქმეს ხელი შეუწყო.

ცნობისათვის: ლამაზი ფრანგული სოფელი ლევილ-სიურ-ორჟი, ანუ ლევილი პარიზიდან დაახლოებით 30 კილომეტრში, სენას დეპარტამენტში მდებარეობს.

ჩვენი „მამულები“ ლევილში დიდი ჭიშკრით იწყება. გადააბიჯებ ამ ჭიშკარს და პატარა საქართველოში მოხვდებით.

მამულის ცენტრალურ ადგილას დგას 3-სართულიანი შატო (ციხე-სიმაგრეძ. ამ შენობაში 1922-1944 წლებში ცხოვრობდნენ ჩვენი მაშინდელი მთავრობის



წარმომადგენლები: ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი და სხვები.

აქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ექვთიმე თაყაიშვილი. იქვე ინახებოდა საქართველოდან 1921 წელს გატანილი განძეულობის ერთი ნაწილი, ასევე — ბორჯომისა და ლიკანის სასახლეებიდან გატანილი ძვირფასი სურათები, რომლებიც ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

ლევილის სასაფლაო ორ ნაწილადაა გაყოფილი. შესასვლელიდან მარცხნივ სოფლის სასაფლაოა,ხოლო მარჯვენა ნაწილი ქართველთა სასუფეველს წარმოადგენს, სადაც განისვენებენ ჩვენი სასიქადულო მამულიშვილები: ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი (გადმოასვენესძ, გრიგოლ რობაქიძე, დადიანები, სხვანი და სხვანი...

სულის შემძვრელია კოკი დადიანის საფლავის წარწერა:

**„მითხარ შენდობა და ჩემს**
**მხარესა**
**ოდეს მოჰყვები ამბებს მწარესა...**
**თქვი, რომ წარწერა**
**იხილე ლოდზე —**
**ძვლებიც კი ფიქრობს**
**საქართველოზე.“**

**თამარ შაიშმელაშვილი**

ბრიფინგი

## საქართველოში რუსეთი მორიგ პროვოკაციებს გეგმავს

**ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ბაჩუკი ქარდავამ მოსალოდნელ რუსულ პროვოკაციასთან დაკავშირებით ბრიფინგი გამართა. მისი განცხადებით ეროვნული-დემოკრატიული პარტია საქართველოს საგარეო პოლიტიკასთან მიმართებაში ყოველთვის ხაზგასმით მიუთითებდა იმ საფრთხეებზე, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.**

რუსეთი ცდილობს საერთაშორისო საზოგადოების თვალში საქართველო ხელოვნურად წარმოაჩინოს, როგორც არშემდგარი სახელმწიფო და ნებისმიერი ხერხით ცდილობს ქვეყნის დასავლური ვექტორის ჩრდილოეთისკენ შებრუნებას. რუსეთს კვლავაც აქვს დაგეგმილი საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის ძალადობრივი პროვოკაციების განხორციელება, როგორც კონფლიქტურ რეგიონებში, ასევე საქართველოს დიდ ქალაქებში — საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

„ლავროვის მიერ გაკეთებული განცხადება არის დადასტურება იმ გეგმისა, რასაც რუსეთი ამჯერად უფრო ფართო სახით გეგმავს საქართველოს ტერიტორიაზე. ამ ვითარებაში, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, მის სამართალდამცავ სტრუქტურებს, გააძლიერონ მუშაობა მოსალოდნელი პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად“, — აღნიშნა ბაჩუკი ქარდავამ.

ედპ რუსული აგრესიის წინააღმდეგ ერთადერთ იარაღად მიიჩნევს ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას. ისინი მიმართავენ საერთაშორისო ორგანიზაციებს, სადამკვირვებლო მისიებს, გააძლიერონ მონიტორინგი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. „ეს არის სახელმწიფოებრივი განცხადება და მიზნად ისახავს მოსახლეობის გაფრთხილებას. ინფორმაცია მაქვს ადამიანებისგან, რომლებიც იმყოფებიან მოსკოვში“, — დასძინა ედპ-ს ლიდერმა.

**ნათია კახიძე**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

### ბაქიბუქის კორიანტელში

***ასეთი პროგნოზი, ვფიქრობ, სავსებით რეალურია. მართალია მიხეილ სააკაშვილი მთელ მსოფლიოში არაპროგნოზირებად პრეზიდენტად არის შერაცხული (აბა რომელი ჭკუათმყოფელი წარმოიდგენდა, რომ „ვერზილა“ რუსეთს ომს გაუბედავდა და თანაც მოიგებდა), მაგრამ მისი შვიდწლიანი მმართველობის გამოცდილებიდან გამომდინარე, წინასწარ ზოგი რამის განჭვრეტა მაინც შეიძლება. მაგალითად, როცა ქვეყანას უმუშევრობამ სახადივით გადაუარა, ყველა ხვდებოდა, რომ მიშა ამ საქმეს ეშმაკის ანაბარა არ მიაგდებდა, დამშეული ხალხის დასასაქმებლად რაღაც პროგრამას მოათუხთუხებდა, მაგრამ ეს პროგრამა 50-დღიანი თუ იქნებოდა, ამას კი ვეღარავინ იწინასწარმეტყველებდა. რას ერჩი, ეს პროგრამა 50-დღიანი იქნებოდა თუ ერთკვირიანი, უმუშევრობა ქვეყანაში 70 პროცენტიდან ერთბაშად 15 პროცენტზე კი ჩამოვარდა (მთავრობის გათვლით) და ამის მერე მიდი და ფანტაზიორი და არაადეკვატური ეძახე. ერთადერთი რაშიც გაუტყდა, ასობით საავადმყოფოების, საწარმოებისა და სკოლების მშენებლობის პროგრამის ჩავარდნას თუ უსაყვედურებ, თორემ სხვა ვერაფერში მოსდებ შარს. მაგაშიც შესაბამისი მინისტრები ტყუიან, პირადად მიშას ხომ არ უნდა აეშენებინა!***

# მალე ინდუსტრიული მთავრობა გვეყოლება?!

ეს ყველაფერი ისე მქონდა მივიწყებული, შეიძლება აღარც გამხსენებოდა (ხალხშიც კანტი-კუნტლა თუ ვინმეს ახსოვს), მაგრამ ამ დღეებში კახეთის თავზე მფრინავი სააკაშვილის ატრუებულ სახეს რომ მოვკარი თვალი, ჩემდაუნებურად პრეზიდენტის ადრეული პროგრამა-ინიციატივებიდან იმ ტალღებმა გამიტაცეს ხელმეორედ, რომელთა რეალიზაციამ ჩემი ღატაკი ქვეყანა მსოფლიოს მაღალგანვითარებული ქვეყნების პედისტალზე შეაგდო. ახლაო, გვაუწყა პრეზიდენტმა, წარსულ წარმატებებზე ლაქლაქს უნდა მოვეშვათ და ქვეყნისთვის უპირველესი სტრატეგიული მნიშვნელობის საქმეს – სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას შევეჭიდოთო, თანაც ისე, რომ წლეულს არც ერთი გოჯი მიწა დაუმუშავებელი არ დაგვრჩესო. პრეზიდენტის ნათქვამს თავისკანტურით ადასტურებდა და შიგადაშიგ საკუთარ აზრსაც გამოთქვამდა მინისტრი კვეზერელი, რომლეიც დედალ-მამალი ძროხების კომპეტენციაში იმდენად ვერა, მაგრამ სოფლის აგრარულ საკითხებში, ეტყობა, მაგრად ერკვევა. აბა როგორ, მისი ზესწორი პროფესიონალი მეორე რომ მოიძებნებოდეს ქვეყანაში, მიშას მინისტრის ახალი კადრით ჩანაცვლებას ვინ მოასწრებდა...

თუმცა პრეზიდენტი იმდენად იყო მოხიბლული და აღტაცებული ალაზნის ველის სიმშვენიერით, ამერიკული ჰიბრიდული სიმინდის ნათესიდან მოსალოდნელი ულევი მოსავლის განცდით, რომ არა მგონია, იმ წუთში კადრების მონაცვლეობაზე ეფიქრა. ეს არა, მაგრამ, ხვავიანი მოსავლის დასაბინავებლად (თვითმფრინავიდან სამი დღის დათესილი სიმინდი იმსიმაღლე ჩანდა, ცხენიანი კაცი დაიმალებოდა) საშრობების მშენებლობასა და ჭარბი მარცვლის საექსპორტოდ გატანაზე კი ილაპარაკა. მერე ისიც დაამატა, წავიდა ის დრო, როცა ჩვენი ბარაქიანი მიწის მადლს არც მთავრობაში და არც სოფლად სათანადოდ არ ვაფასებდითო. ამ მხრივ გამორჩეულია კახეთის მიწა, რომლიდანაც თუ მოვუვლით, ჭურძენთან ერთად, ზეთის ხილისა და სიმინდის ისეთ მოსავალს მოვიწევთ, მსოფლიოს განვაცვიფრებთო. ისიც არ დაუმალავს, რომ მთავრობა, რომელიც ამიერიდან აგრარულ მთავრობად გარდაიქმნა, სულ მოკლე პერიოდში კახეთს ქვეყნის ყველაზე წარმატებულ რეგიონად აქცევს.

ღმერთმა გისმინოს, ბატონო პრეზიდენტო! მართალია 7 წლის დაგვიანებით, თანაც თვითმფრინავიდან გაგახსენდათ (იქიდან უფრო მიმზიდველად გამოიყურება დაუმუშავებელ-გავერანებული ფართობები) ყველასგან მიგდებულ-დავიწყებული სოფლის მეურნეობა, მაგრამ თქვენი ერთი სიტყვაც, თუნდაც ჰაერში ნათქვამი, ხომ უბრალო მოკვდავთათვის მთების შემოტრიალებას ნიშნავს(!). **რა ვუყოთ, რომ წინა წლებში ბიუჯეტიდან სოფლისთვის გამოყოფილი მწირი თანხები სპირტის მხდელთა „ბიუჯეტს“ მოხმარდა და წლეულსაც დარგს თქვენს მიერ შეპირებული 150 მილიონი ლარიდან ხელთ მხოლოდ 9 მილიონიღა შერჩა, სამაგიეროდ დარგის განვითარების იგავმიუწვდომელი პროგრამა დაიდო, რომლის შეუსრულებლობას, როგორც ნაცმოელი ერთიანი გუნდის წარმომადგენლები აცხადებენ, წვეთი არ გავარდება.** დასტურად ისიც კმარა, რომ საქართველოში ბოლოსდაბოლოს მტკიცე და გაუტეხელი აგრარული მთავრობა შეიქმნა!

კი მაგრამ, მთავრობა თუ აგრარული გვყავდა, რა ეშველება იმავე მთავრობის მიერ ქვეყნის პრიორიტეტულ დარგად გამოცხადებულ, ჩვენი ეკონომიკის მარჩენალ ტურიზმსო? – ვიცი უმალვე დასვამენ ამ კითხვას ხელისუფლების მიმართ არაკეთილმოსურნედ, შეიძლება ითქვას, მტრულად განწყობილი ოპოზიციური ძალები. მათ გასაგონად ღიად და გამჭვირვალედ ვიტყოდი – ტურიზმს არაფერიც არ სჭირს საშველი, ის აჩქარებული ტემპით ვითარდება და მომავალში კიდევ უფრო აჩქარდება. **ეკონომიკის მინისტრის ვერა ქობალიას ინფორმაციით, მარტო წელს საქართველოში 2 მილიონი ტურისტი შემოვიდა, რაც სულაც არ არის შემთხვევითი. თუმცა ვერც იმას დავმალავთ, რომ ქვეყნის პატრიორტი მინისტრის ამ განცხადებას არც ერთი ტურისტული კომპანია არ ადასტურებს.**



ჩვენ დემოკრატიული ქვეყანა ვართ და არ არის აუცილებელი, ყველას ერთნაირი მონაცემი ჰქონდეს. მთავარია, პრეზიდენტს სურს საქართველო სამთო-სათხილამურო დასვენების კურორტად გადააქციოს და ზოგჯერ სვანეთსა და გუდაურში თოვლი თუ არ მოვიდა (წლეულს, მაგალითად, თოვლის უამინდობა გვჭირდა), ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მომავალში ხსენებული კურორტები შვეიცარიულ სამთო-სათხილამურო კურორტებს კონკურენციას ვერ გაუწევენ. მით უფრო, რომ საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო ექსტრემალური ტურიზმის განვითარებას იწყებს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია წყალტუბოს მღვიმეების შესწავლა და შესაბამისი ტურისტული მარშრუტების შემუშავება. ანალოგიური პროექტი ექსტრემალური ტურიზმის მოყვარულთათვის სამეგრელოშიცაა დაგეგმილი.

თუმცა გეგმე და იყავი. ეკონომისტთა უმრავლესობის აზრით, **ტურიზმი მაშინ არის მომგებიანი, თუ ქვეყანა იმპორტზე ნაკლებადაა დამოკიდებული და თავს ადგილობრივი წარმოებით ირჩენს. საქართველოში კი რა ხდება? უცხოელი ტურისტები (ადგილობრივიც) ძირითადად იმპორტული პროდუქციით იკვებებიან, რაც ნიშნავს, რომ ჩვენთან კაკანებენ, კვერცხს კი სხვისა ბუდეში დებენ. ალბათ ამ და სხვა მიზეზთა გამო მიაჩნია ექსპერტ ალექსანდრე თვალჭრელიძეს, რომ „ტურიზმი ვერასოდესააყვავებს საქართველოს, თუნდაც მას მილიონობით ტურისტი მოაწყდეს“. მისი აზრით, ტურიზმში ჩადებული ინვესტიციების დაფარვისა და მოგების მისაღებად, დაახლოებით ორმოცდაათი წელია საჭირო(!).**

ამათ რომ უსმინო, შეიძლება კაცი დაიბნე კიდეც. რეიტინგულმა ფრანგულმა მეგზურმა „ფეტი ფუტმა“, მაგალითად, საქართველო ისეთ საშიშ ქვეყნებს შორის მოაქცია, როგორებიც არიან ავღანეთი, ერაყი, სომალი, ბოლივია, გონდურასი, კოლუმბია, ლიბია და სხვები. იმავე საფრანგეთის ერთ-ერთმა გიდ-ჟურნალმა კი საქართველო მსოფლიოში საუკეთესო, მიმზიდველ ტურისტულ ქვეყნად დაასახელა. ეტყობა, არ დაიბნა მხოლოდ თბილისის მერი გიგი უგულავა, რომელმაც ამ უკანასკნელი გამოცემის ხათრით თუ სააკაშვილის წამბაძველობით, გუდაურის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის დედაქალაქის ბიუჯეტიდან 2,5 მილიონი ლარის გაღება გადაწყვიტა. ამის გახმაურება ძლივს მოასწრო უგულავამ, რომ თვითმფრინავში მჯდომი პრეზიდენტის ენით ახალი ინიციატივა გაიფრქვა ქვეყანაში – საქართველოში პრიორიტეტულ დარგად სოფლის მეურნეობა გამოცხადდა, ხოლო მთავრობა – აგრარულ მთავრობად. გაუგებარია, რა უნდა მოიმოქმედოს ამჯერად უკვე დაბნეულმა უგულავამ, გუდაურზე უარი თქვას და დათქმული თანხა ტარიბანას ველების აგროგანვითარებაზე გადაისროლოს?!.

მაგრამ რომ არ ვიცით, ხვალ პრეზიდენტს რა ხუშტური შეუჩნდება, ან მთავრობას რომელ ახალ სახელს მოარგებს? ხომ შეიძლება სააკაშვილს აგრარული აღარ დაევასოს და მთავრობას სულაც ინდუსტრიული შეარქვას? მართალია ინდოელმა თუ ეგვიპტელმა ინვესტორებმა ქუთაისში მეტალურგიის განვითარებაზე გული აიცრუეს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მთავრობა სამუდამოდ „აგრარიკას“ შეაბერდება. მთავარია მთავრობა გვყავდეს ინდუსტრიული და ქვეყანაში რომელი დარგი იქნება წამოწეული (სოფლის მეურნეობა თუ ინდუსტრია, თუ არც ერთი და არც მეორე), ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

**ოთარ ხუციშვილი**

### საგარეო ვაჭრობა

# მხოლოდ სურვილის და პროჟექტის იმედად?!

**ნებისმიერი ქვეყნის „ეკონომიკური ჯანმრთელობის“ ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი საგარეო ვაჭრობის მაჩვენებელია: თუ ადგილობრივი პროდუქციის ექსპორტს დროის ხანგრძლივ პერიოდში ზრდის ტენდენცია აქვს, მაშასადამე სალდო დადებითია, რაც ეკონომიკურ აღმასვლაზე მეტყველებს. ხოლო თუ სალდო უარყოფითია, ეს იმის ნიშანია, რომ პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთიდან შედის. ამდენად, ვფიქრობთ, საქართველოს ეკონომიკის უაღრესად მძიმე მდგომარეობაზე ბოლო წლების უარყოფითი საგარეო სავაჭრო სალდოც მეტყველებს.**

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, წლევანდელი პირველი კვარტალის მაჩვენებლებით, მართალია, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ შარშანდელი ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს დაახლოებით 70 პროცენტით გადააჭარბა, მაგრამ ეს, თითქმის სამი მეოთხედით იმპორტის ზრდის ხარჯზე მოხდა.

უფრო კონკრეტულად, ჩვენი საგარეო ვაჭრობის წილი ევროკავშირის ქვეყნებთან, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, თითქმის 65 პროცენტითაა მომატებული, ხოლო ამ ქვეყნების წილი ჩვენს საგარეო ბრუნვაში დაახლოებით 30 პროცენტია. ასევე გაზრდილია საგარეო სავაჭრო ბრუნვა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან. ეს მაჩვენებელი 60 პროცენტითაა გაზრდილი, მათი წილი კი მთლიან სავაჭრო ბრუნვაში ასევე 30 პროცენტია.

ცალკე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წლის დამდეგიდან საქართველოს ათი უმსხვილესი პარტნიორის წილმა საგარეო ვაჭრობის მთლიან მოცულობაში 65 პროცენტი შეადგინა. მათგან ერთ-ერთი პირველია **თურქეთი,** რომელთანაც სავაჭრო ურთიერთობაში ძირითადი საქონელია **შავი ლითონების ჯართი და დახერხილი ხე-ტყის მასალა,** რომელთაც თვიდან თვემდე ზრდის ტენდენცია აქვს. ამასთან, ბოლო დროს ცვალებადი ტენდენცია შეიმჩნევა **ნედლი თევზის, თევზის ფქვილის, ხორცისა და ფეროშენადნობთა სასაქონლო ჯგუფებში.**

ამავე პერიოდში აშკარად თვალში საცემია თურქეთიდან სასურსათო და სამრეწველო საქონლის იმპორტის ზრდა, რომელმაც ბოლო დროს 200 პროცენტზე მეტით მოიმატა. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ წლეულს განსაკუთრებით დიდი ოდენობით გაიზარდა **კაბელისა და იზოლირებული სადენების** (დაახლოებით 30-ჯერ), ასევე **შავი ლითონების კონსტრუქციების** (თითქმის ხუთჯერ) იმპორტი.

საქართველოს სიდიდით მეორე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია **უკრაინა,** მესამე – **აზერბაიჯანი.**

ადრეც აღგვინიშნავს და ახლაც გავიმეორებთ, რომ ეროვნული ეკონომიკის ერთგვარ „დაფერდებას“ ისიც მოწმობს, რომ ყველაზე დიდ სასაქონლო ჯგუფების ათეულში... **მსუბუქი ავტომობილების** ექსპორტი პირველობს, რაც სასაქონლო პროდუქციის მთელი მოცულობის 20 პროცენტს შეადგენს. მეორე პოზიციაზეა **ფეროშენადნობები** (მთელი ექსპორტის დაახლოებით 12 პროცენტი), მესამეზე – **აზოტოვანი სასუქები** (საგარეო ბრუნვის მთლიანი მოცულობის 10 პროცენტი).

ასევე უნდა ითქვას, რომ წლეულსაც, ისევე, როგორც წინა წლებში, უმსხვილესი საიმპორტო საქონელია **ნავთობი და ნავთობპროდუქტები,** რაც მთელი მოცულობის მეათედს შეადგენს. ამ სასაქონლო ჯგუფს ოდნავ ჩამორჩება **ბუნებრივი გაზი და გაზისებრი ნახშირწყალბადები, მესამეზე – მსუბუქი ავტომობილები.**

ერთგვარი დაჯამების სახით შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობის სალდოს წლევანდელი სურათი, ძირითადი სასაქონლო ჯგუფები (როგორც ექსპორტში, ასევე იმპორტში) და მათი პროცენტული წილი ბოლო წლების მანძილზე, ფაქტობრივად, უცვლელია, რაც ქვეყანაში არა მარტო მაღალი ტექნოლოგიების შემცველი მრეწველობის განუვითარებლობის, არამედ ისეთი ტრადიციული სფეროს, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, მთლად სტაგნაციის თუ არა, უძრაობის ჭაობში ჩაფლობის უტყუარი დადასტურებაა. იმას კი, თუ რამდენად „გაქაჩავს“ ეროვნულ ეკონომიკას უცხოური ტურიზმის განვითარებაზე გაკეთებული უალტერნატივო ორიენტაცია, როცა ამდენი ხანია სერვისის ევროპულ დონესთან მიახლოებაც ვერ ხერხდება, ხოლო ახალმოდური კურორტების აშენება-რეაბილიტაცია დედაქალაქის ბიუჯეტის ხარჯზე ხდება (!!!), ამას უახლოესი მომავალი გვაჩვენებს.

**დალი ხუნდაძე**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ ტკივილით ნათქვამი

# ღამით კვლავ ჩამოივლის „მედროვე“... დაგვამშვიდებს



**ახლა დემოკრატიაა და შეიძლება შენი გულისტკენა სადაც გინდა იქ გამოხატო, — ვეუბნები ჩემს მეგობარს, რომელსაც მართლაც არ უყვარს წუწუნი თავის გასაჭირზე. მაგრამ ის, რაც მან მიამბო მხოლოდ მისი კი არა, დღევანდელი ჩვენი საზოგადოების პრობლემაა საქართველოში და მეც იმიტომ უფრო გავბედე მკითხველთან ერთად მემსჯელა ამ საკითხებზე.**

თუმცა რამდენზე, რომელ ერთზე უნდა იმსჯელო, ანდა, აინტერესებს კი „იმ ხალხს“ ამ ხალხის გასაჭირზე მსჯელობა და საუბარი? მოჰყვება კი ამ საკითხებზე მსჯელობას მათგან ყურადღება და ზრუნვა საქმის გაუმჯობესების მიზნით? ანდა ღირს კი ამ საუბარზე ყურადღების შეჩერება იმ დროს, როდესაც, უცნაური კი არადა, გამაოგნებელი ტყუილები ისმის ხან ზემოდან ხან ქვემოდან და უბრალო და მართალ კაცს ვერა გაუგია რა, ერთი რამის გარდა: როგორ კნინდება და ბეჩავდება მისი მსგავსი ადამიანების ცხოვრება, როგორ მიარბენინებენ სადღაც, უგზო-უკვლოდ, უმისამართო და გაურკვეველ მიმართულებით, როგორ უკითხავენ თეთრზე შავით დაწერილ ტექსტებს თავუკუღმა, როგორ ჩამოივლის შუა ღამით „მედროვე“ და როგორ გაჰყვირის: მოქალაქენო, ღამის პირველი საათია, ყველაფერი წესრიგშია, მშვიდად იძინეთო. ამ დროს ზოგმა მაინც ხომ ვიცით, სად არიან მოქალაქენი! ისიც ხომ კარგად ვიცით, ვისაც ძინავს. ხომ ძინავს და, ვისაც არა, იმათ კიდევ რა დააძინებს ამ მედროვეს ყვირილის შემდეგ. ახლა ხომ უნარ- ჩვევების შესწავლის ეპოქაა, ყველაფერი პირდაპირი მნიშვნელობით როდი უნდა გაიგო!

და მაინც მინდა დაწყებული საუბარი გავაგრძელო, რადგანაც — ტყუილი, პატარა და დიდი, ყველა ტყუილია და პატარა და დიდი ტკივილი, მაინც ტკივილია. დიდი სახლის აშენება ერთი პატარა ღრმულით, ერთი ბარის პირით გაჭრილი ადგილით იწყება... ამიტომ ვბედავ და გიყვებით იმ პატარა ამბავს, რომელმაც დიდად შემაწუხა.

საქმე ის არის,რომ ამ ჩემს ახლო მეგობარს, საზოგადო მოღვაწეს, საკმაოდ დამსახურებულ და ღირსეულ ადამიანს, რომელსაც ასი ლარი პენსია ჰქონდა (ისე, როგორც ჩვენს ქალაქში ყველა მოქალაქე პენსიონერს ერთნაირად აქვს, დამსახურებისა და საქმიანობის ხარისხის მიუხედავად!, პენსიით შედარებით უზრუნველყოფილი, ყოველგვარი ადამიანური ღირსებებით და ამავე დროს ღირსეული მედალ-ორდენებით სავსე, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ოფიცრის მაღალჩინიანი მეუღლე გარდაეცვალა. რის შედეგადაც, ოჯახის წევრების მიერ დიდი, ჩახლართული ბიუროკრატიული გზების გავლით, დაუნიშნეს (დაუფასეს მეუღლის ღვაწლი!) 22 ლარი, მაგრამ ამ მოწყალებას მეუღლის სახელობა კი არ დაარქვეს, არამედ, „სოციალური სუბსიდიებიდანო“, — ასე უწოდეს და ამის დამადასტურებელი დოკუმენტიც არ დაიშურეს.

მიუხედავად უამრავი გულისტკენისა, რომელიც ჩემმა მეგობარმა იწვნია არა მხოლოდ ძვირფასი მეუღლე-მარჩენალის დაკარგვით, არამედ დასაფლავების აუცილებელი ცერემონიალისა და საფლავის მიწის მოძიებისას განცდილი უსამართლობით, მას ჩემთვის არაფერი მოუყოლია და ეს წერილიც არ დაიწერებოდა, რომ არა, პენსიის მიღების დროს მომხდარი გაუგებრობა და ამას მოყოლილი მისი განცვიფრება... მას ხომ 100 ლარი ისედაც ჰქონდა პენსია, ახლა, გარდაცვლილი მეუღლის პენსიიდან, ანუ, ეგრეთ წოდებული, სოციალური სუბსიდიებიდან მას უნდა დარიცხოდა 22 ლარი. დაერიცხა კიდეც. ესე იგი, ქალბატონს უნდა მიეღო 122 ლარი. ასე იფიქრა ქალბატონმა და თქვენც ასე ფიქრობთ უთუოდ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, ასს რომ მივუმატოთ ოცდაორი, თქვენც გჯერათ რომ არის ას ოცდაორი. არა, თურმე ას თორმეტია! და ას ოცდაორის ნაცვლად მისცეს კიდეც ას თორმეტი. არა, მოლარე არ შემცდარა. ეს თურმე მთავრობას დაუდგენია. ას ოცდაორი ლარი მეტისმეტი საზღაურიაო, ასე იმსჯელეს ათასობით ლარ-ხელფას-პრემიებით უზრუნველყოფილმა მთავრობის ახალგაზრდა წარმომადგენლებმა და ამ ქვრივი ქალბატონისთვის უკვე განსაზღვრული ას ოცდაორი ლარიდან, ათი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტისთვის თუ არ ვიცი რისთვის და ვისთვის, გადაინახეს.

ადამიანის აბუჩად აგდება, ცინიზმი! გაგიგონიათ ამაზე უარესი სადმე? — მეკითხება ჩემი მეგობარი ქალბატონი. და მიყვება თავისი აწ გარდაცვლილი მეუღლის „გულუბრყვილობაზეც“ (გულუბრყვილობისა რა მოგახსენოთ და უნიჭიერესი და საოცრად ორგანიზებული კი ნამდვილად ბრძანდებოდა აწ გარდაცვლილი ბატონი), რომელსაც ჯერ კიდევ გარდაცვალებამდე, რამდენიმე ხნით ადრე, ანდერძივით დაუწერია თუ როგორ უნდა ემოქმედათ ოჯახის წევრებს მისი გარდაცვალების შემთხვევაში: ვისთვის უნდა მიემართათ, სახელმწიფოს მიერ გამოცემული რომელი კანონით და დებულებით ესარგებლათ, რომ მიეღოთ მისი მსგავსი ადამიანებისათვის დაწესებული შეღავათები, რათა ოჯახს გარდაცვლილის დასაბინავებლად გასაწევი თანხები მძიმე ტვირთად არ დასწოლოდა.

ის ნაწერი ახლა მეც წავიკითხე. ცხონებულს, ამ საკითხებში პასუხისმგებელი პირების კაბინეტისა და ტელეფონის ნომრებიც კი არ გამორჩენოდა... სადღაა ახლა ომისა და შრომის ვეტერანებისთვის განკუთვნილი ეს შეღავათები, რომლისთვისაც ასე თუ ისე იღვწოდა წინა მთავრობა. ახლა, შეღავათები და დიდი ჯამაგირები, მხოლოდ პარლამენტისა და მთავრობის წევრმა ახალგაზრდებმა დაიწესეს თავიანთთვის! ასე რომ, განსვენებულს რომ ეგონა, მის საყვარელ ოჯახს სიკვდილის შემდეგაც გაუწევდა მატერიალურ თანადგომას, ასე ნამდვილად არ აღმოჩნდა. ის კი არადა, ოჯახს დასაკრძალავ ადგილზე რომ უთხრეს უფასოაო, მხოლოდ საფლავის გაჭრისთვის გადაიხდით 89 ლარსო, რისთვისაც ათასი მადლობა გადაუხადეს ქალაქის სასაფლაოების ერთ-ერთ პასუხისმგებელ პირს... თურმე ნუ იტყვით და, ყველაფერი ეს შორს იყო სინამდვილისაგან. შემდგომში აღმოჩნდა,რომ ორადგილიანი საფლავი ათას ხუთას ლარზე მეტი ჯდებოდა და ისიც ისეთი მიუდგომელი, ვერტმფრენით თუ მიფრინდებოდი მხოლოდ! აი ასე იყო ეს ამბავი.

სხვათა შორის, მერე თავადაც დავინტერესდი, ნორმალურად მისასვლელი და ჯერ კიდევ თავისუფალი ადგილები რომ დავინახე ამა თუ იმ სასაფლაოზე და იცით რა მითხრეს? სამი ათასი დოლარი ორადგილიანიო... და რაღა გავაგრძელო, ხომ ვიცით, რომ ღამით კვლავ ჩამოივლის მედროვე...

**გულნარა სტურუა**

◉ საქველმოქმედო აქცია

# „კეთილი გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირების“

**საქართველოს ქალთა საბჭო საქართველოს მოქალაქეებს მოგმართავთ თხოვნით**, გულთან მივიტანოთ ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც მძიმედ მოქმედებს მოსახლეობაზე; პირველ რიგში ზარალდებიან ქალები და ბავშვები — ჩვენი მომავალი თაობა.

საქართველოს ქალთა საბჭოს გადაწყვეტილი აქვს, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, მცირეოდენი წვლილი შეიტანოს ამურთულესი პრობლემის გადაჭრაში.

საქართველოს ქალთა საბჭო, ქ. თბილისის ჯანმრთელობის ცენტრისა და ქალაქის ბიბლიოთეკის თანადგომით ატარებს საქველმოქმედო აქციას: **ჩვენს მოქალაქეებს მოგიწოდებთ გაიღოთ ოჯახში მოსახმარებელი საგნები (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ჰიგიენისა და პირადი მოხმარების საგნები) პროდუქტები (რომელიც ინახება), რათა მივაწოდოთ სიღარიბის ზღვარს ქვემო მყოფ სოფლის მოსახლეობას. გავიხსენოთ: „კეთილი გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირების“.**

ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს ვთხოვთ, დაეხმარონ ქალთა საბჭოს რეგიონალურ განყოფილებებს, კონტროლზე აიყვანონ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახები, რომ მიწოდებული დახმარება სწორად განაწილდეს და სწორად იმათ შეხვდეს, ვისაც ყველაზე მეტად უჭირს.

**წინასწარ გიხდით მადლობას ყველას, ვინც მონაწილეობას მიიღებს ამ კეთილ საქმეში.**

**აქციამ მუშაობა დაიწყო 4 აპრილიდან მიცკევიჩის 29 ა (დედათა და ბავშვთა სამკურნალო ცენტრი). 12-18 საათი.**
**საკონტაქტო ტელეფონებია:**
**832 96 97 03 ბიბლიოთეკა**
**832 66 55 59**
**832 39 19 85 ქალთა საბჭო**
**899 79 70 90 ჯანმრთელობის ცენტრი**

◉ ეხმაურებიან

# ქვეყნის საზღვრები ჭეშმარიტად მისახედია

**ახლახან გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№61) გამოქვეყნდა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის რევაზ ტყემალაძის წერილი „თუ მეზობლობაა, მეზობლობა იყოს“. იგი ძირითადად ეხება ორი მეზობელი ხალხის ურთიერთობას ჯავახეთელი სომხების მაგალითზე. ავტორი სათაურში დასმულ კითხვას, ივანე ჯავახიშვილის წიგნით „საქართველოს საზღვრებით“ უპასუხებს. თუ როგორ ახერხებს ამას, ქვევით მოკლედ ვიტყვი.**

წერილის ავტორი ცოტა არ იყოს, დიდაქტიკური ტონით გვმოძღვრავს ისტორიკოსებს და წერს: „ასეთ შემოცურებულ“ პასკვილთა შორის მთავარი, ჩემი აზრით, საქართველოს ძირძველი მიწის სამცხე-ჯავახეთის საკითხია, რომლის კუთვნილებაზე ჩვენს მეზობლებს თითქოსდა პრეტენზია გაუჩნდათ (გასაკვირი კი არის, საიდან, რის საფუძველზე?). სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიის საქართველოს კუთვნილებაზე რომ მტკიცება გვიხდება, ეს ფაქტი თავისთავად ლოგიკას მოკლებულია. ამ საკითხზე ლაპარაკი, მით უმეტეს წერა, ხომ ზედმეტია. მაგრამ ზრდილობიანი პასუხის გაცემა, ვფიქრობ, ზედმეტი მაინც არ იქნება“. ბატონი რეზო რომ ამბობს, სომხებს თითქოს სამცხე-ჯავახეთის მიმართ აღეძრათო ლტოლვა, ნეტა ამაში მას ეჭვი ეპარება? თითქმის ერთი საუკუნეა ისინი ამ საჭოჭმანო საკითხს, არამც და არამც არ ეშვებიან.

ცოტა ქვევით ავტორი წერს: „ამ საკითხზე წერა ხომ ზედმეტია, მაგრამ ზრდილობიანი პასუხის გაცემა, ვფიქრობ, ზედმეტი მაინც არ იქნება“. რატომ არის ქართველებისაგან ამ საკითხზე წერა ზედმეტი, ეს ჩემთვის გაუგებარია. ვინ წაგვართვა ჩვენ ამის უფლება, აი ეს არის საკითხავი. ამ საკითხთან დაკავშირებით ბატონმა ივანე ჯავახიშვილმა ამომწურავი პასუხი გასცა სომხებს. მაგრამ მათ ამის შეხსენება ხშირად სჭირდებათ იმიტომ, რომ ივანე ჯავახიშვილის წიგნი „საქართველოს საზღვრები“ მხოლოდ ქართულ ენაზეა გამოცემული და ისინი არ იცნობენ.

სათაური რომ გაამყაროს, ავტორს მოაქვს ციტატა ივანე ჯავახიშვილის წიგნის ბოლოსიტყვაობიდან. აი ისინიც: „ამიტომ (ეს სიტყვა ამოღებულია) ქართველი ერი და მისი მთავრობა შთამომავლობისა ისტორიის წინაშე მოვალეა, თავისი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი საზღვრების მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად უდგეს. ეს არც ძმობაერთობას და არც კეთილმეზობლობას დაუშლის იმათთან, ვინც მართლაც ძმობაზე და მეზობლობაზე ფიქრობს და ქართველ ერსაც ყოველგვარი მოსალოდნელი ხიფათისაგან გადაარჩენს“. კი მაგრამ მწარედ დაწერილი ორგვერდიან ბოლოსიტყვაობაში მხოლოდ ეს წერია, ბატონო რეზო? ბატონ ივანე ჯავახიშვილს საკადრისად აქვს ნათქვამი ის დიდი შეცდომა თუ დანაშაული, რაც მაშინ სომხებმა ჩაიდინეს საქართველოს მიმართ. ყველაფერი კი ასე იყო: 1918 წლის დეკემბრის თვის დასაწყისში, სომეხთა ჯარმა გადმოლახა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის საზღვარი, დაიწყო ომი ორ მეზობელ ქვეყანას შორის. ქართველ ერს ჩამწარდა იმ დიდი ზეიმისა და სიხარულის განცდა, რაც მან მიიღო ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების შედეგად. მთელი საქართველო ფეხზე დადგა. ქართული ჯარის სასახელოდ უნდა ვთქვათ, რომ მან სულ რაღაც ორი კვირა მოანდომა მომხდურთა დამარცხებას. სწორედ ეს მეტად არასასიამოვნო ფაქტი გახდა მიზეზი იმისა, რომ საქართველოს მთავრობას ეთხოვა ივანე ჯავახიშვილისთვის, ქვეყნის ისტორიული საზღვრების დადგენა და სათანადო რუკის შედგენა. ეს დავალება დიდმა მამულიშვილმა პირნათლად შეასრულა.

პროფესორ იულონ გაგოშიძის დახმარებით ბატონ ივანე ჯავახიშვილის წიგნის „საქართველოს საზღვრების“ რუსულ ენაზე რედაქტირება შესრულებულია. სასურველია მისი ინგლისურ ენაზეც თარგმნა. მათი გამოცემა ნამდვილად საშური საქმე იქნება.

**დურმიშხან ფარცხმელი**

◉ ინფორმაცია

## ვინ ცდილობს სხვის მონასტერში შეძრომას?

**სეპარატისტულ აფხაზეთში მოქმედი ოპოზიციური პარტიის „სახალხო ერთიანობის ფორუმის“ ლიდერი რაულ ხაჯიმბა აცხადებს, რომ აფხაზეთის ეკლესიაში არსებული უთანხმოება ახლა არ წარმოქმნილა. მისი თქმით, კონფლიქტი დაკავშირებულია დაპირისპირებასთან, რომელიც აფხაზეთის სასულიერო პირების ახალი თაობისა და ეკლესიის ახლანდელ ხელმძღვანელობას შორის უკვე დიდი ხანია არსებობს.**

**— ამას გარდა, ეს დაპირისპირება ასევე დაკავშირებულია „ეკონომიკურ ინტერესებთან და გარკვეული ძალების მოქმედებასთან, რომლებიც თავიანთი დებულებით სხვის მონასტერში შეძრომას ცდილობენ“. რაულ ხაჯიმბა ასევე აცხადებს, რომ თავდაპირველად აფხაზეთში „არ იყო წინააღმდეგობა“ იღუმენ ეფრემ ვინოგრადოვის დანიშვნასთან დაკავშირებით, რომელიც ახალი ათონის მონასტერში რუსეთის საპატრიარქომ გამოაგზავნა.**

**— თუმცა, როდესაც ის ჩამოვიდა რამდენიმე ღვთისმსახურთან ერთად და მოთხოვნები წამოაყენა, რომლებიც მონასტერში არსებულ ტრადიციას ეწინააღმდეგებოდა, მოხდა კონფლიქტი, —აცხადებს ხაჯიმბა, თუმცა აღნიშნავს, რომ უკეთესი იქნებოდა ეს უთანხმოება ისე მოგვარებულიყო, რომ „მონასტრის კედლებს არ გასცდენოდა“. იგი ასევე ამტკიცებს, რომ აფხაზეთის ეკლესიას სრული უფლება აქვს თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადოს, მიუხედავად იმისა, აღიარებენ მას ასეთად თუ არა.**

**— ბოლოს და ბოლოს საქართველოს ეკლესია, რომელიც თავისი კანონების მიხედვით აფხაზეთის ეკლესიას თავის ნაწილად მიიჩნევს, დიდი ხნის განმავლობაში ავტოკეფალური არ იყო. მხოლოდ მე-11 საუკუნეში მიაღწია მან თავის დამოუკიდებლობას, — აცხადებს ხაჯიმბა.**

ჯი-ეიჩ-ენი

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

◉ გახსენება

# „ხარბი წყურვილი“

## ილია და სომეხთა გენოციდის პრობლემა

**სომეხთა პირველ გენოციდს ილიამ „ივერიაში“ სპეციალური სტატია მიუძღვნა — „ოსმალეთის სომეხთა განწირვა“. აქ ილიასეული სიღრმითა და სიმართლით გაანალიზებულია ის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებმაც სომეხი ხალხის 1895 წლის ეს დიდი ტრაგედია ასაზროვეს. ამ ანალიზის არსი იმაშია, რომ ტრაგედია დიდ სახელმწიფოთა, უპირველესად კი „რუსეთისა და თურქეთის“ მეტოქეობის“ შედეგია. ეს დასკვნა თანაბრად ვრცელდება I მსოფლიო ომის წინ და მისი მსვლელობის დროს განხორციელებულ სომეხთა მეორე და მესამე გენოციდზეც...**

ეს უკანასკნელი დაიწყო 1914 წელს რუსეთის არმიის ანატოლიაში შეჭრით. ორი იმპერიის დაპირისპირებამ განსაკუთრებით სისხლისმღვრელი ხასიათი მიიღო მომდევნო წლებში, რასაც ასი ათასობით სომხის სიცოცხლე ემსხვერპლა. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ტრაგედიაში თავისი როლი შეასრულა რუსეთის მიერ შეიარაღებულმა და წაქეზებულმა დაშნაკთა პარტიამ. მაგრამ პირველი წარმატებების შემდეგ, რუსეთის არმიის „ანატოლიის კამპანია“ 1916-17 წლებში სრული მარცხით დამთავრდა და მან არათუ ანატოლია, მალე მთელი ამიერკავკასიაც დატოვა. ასე ვერაგულად მიატოვა რუსეთმა თავისი ყოფილი მოკავშირეები გამძვინვარებული ოსმალების პირისპირ. შურისძიებამ კი საზღვარი არ იცის...

მოხდა ის, რასაც ილია წერდა ორი ათეული წლის წინათ: „დიდ-დიდ მტაცებელ სახელმწიფოთა“ მორიგი მეტოქეობის შედეგად „ოსმალეთის სომეხთა განწირვა“. საპნის ბუშტივით გაქრა დაშნაკთა „დიდი სომხეთის“ გეგმებიც და არც ისინი დაგიდევდნენ, რომ ყოველივე ამას უბრალო სომეხთა სისხლისღვრა მოჰყვა ბოსფორიდან ანატოლიამდე. ამაზე გულისტკივილით წერს ივანე ჯავახიშვილიც 1919 წელს...

არსი ჩვენი ამ ორი დიდი მოაზროვნისა და ერისკაცის ანალიზისა ერთია: პატარა და მცირერიცხოვანმა ერებმა ყოველ ისტორიულ ეპოქაში უნდა გაითვალისწინონ ის დიდი მომაკვდინებელი საფრთხე, რაც დიდ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკურ თამაშებს მოსდევს. აქ უკვე „მტყუან-მართალის გარჩევა“ აღარაფერს შველის: „ვინ ვის სდევს, ვინ ვისა ჰკლავს და იკლებს, ვინ სტყუის და ვინ მართალია იქ, სადაც ერთის მხრივ ძალია და მეორეს მხრივ — ულონობა, — ეს ყველამ კარგად იცის...“ — წერდა ილია და აქედანაა მისი ის ზოგადი დასკვნა, რომელიც თანაბრად ეხება როგორც მის, ისე შემდგომ ეპოქებსაც დღევანდელის ჩათვლით:

აშკარაა, სომხების საქმე და ერთობ ოსმალეთისაც განგებ ირევა, — აცა, წყალი იქნება როგორმე აიმღვრეს, რომ ბადე კარგად მოხვდესო... ჩვენ სრულებით არ გვწამს, რომ რომელიმე სახელმწიფო აქ მარტო სომხების ბედის გასწორებას ეტანებოდეს... ჩვენის ფიქრით, ყველას თავისი ანგარიში აქვს და სომეხთა საქმე მარტო მიზეზია ანგარიშების აშლისა და დავთრების არევ-დარევისა... რამდენადაც იგი სამსახურს გაუწევს თითოეულის ცალკე სახელმწიფოს თავმოყვარეობას და ხარბს წყურვილსა, რომ მე ჩემი ვირგუნოო“.

„ხარბი წყურვილი“ — აი, თავი და ბოლო ძველი თუ ახალი ტრაგედიებისა და სისხლისღვრებისა, გულუხვად რომ ილვრება ჩვენს რეგიონში ადრეც და ახლაც...

**ელბერტ ბატიაშვილი**

◉ ნობელური წიაღსვლა

# ნობელიანტ ქალთა „კოზირები“

**მსოფლიო მეცნიერების ყველაზე პრესტიჟული ჯილდოს — ნობელის პრემიის ლაურეატთა სახელგანსმენილ რიგებში მშვენიერთა სქესის წარმომადგენლები შესამჩნევად ცოტანი არიან, თითებზე ჩამოსათვლელნი. სამაგიეროდ, ნობელიანტ ქალბატონებს რამდენიმე „კოზირი“ აქვთ, მამაკაცთაგან რომ გამოარჩევთ.**

მაგალითად, გამოჩენილი პოლონელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი **მარია სკლადოვსკაია-კიური** (მეორე გვარი მეუღლის, აგრეთვე გამოჩენილი ფიზიკოსის, ფრანგი პიერ კიურისგანააძ დიდხანს ერთადერთი მეცნიერი იყო, რომელსაც ნობელის პრემია ორჯერ მიენიჭა: პირველად — 1903 წელს



ფიზიკაში, ფრანგ ანრი ანტუან ბეკერელთან და პიერ კიურისთან ერთად (ბეკერელს რადიაქტივობის აღმოჩენისათვის, ცოლ-ქმარ კიურებს — რადიაქტივობის შესწავლისათვისძ; მეორედ — 1911-ში — ქიმიაში, ელემენტების რადიუმისა და პოლონიუმის აღმოჩენისა და შესწავლისათვის (ამ უმამაცესმა ქალბატონმა პოლონიუმი სამშობლოს, პოლონეთის პატივსაცემად დაარქვა აღმოჩენილ ელემენტსძ.

ქალბატონ მარიას ასევე „კოზირად“ შეიძლება ჩავუთვალოთ, რომ ის ერთადერთი ნობელიანტია ისტორიაში, რომლის ქალიშვილი ირენ ჟოლიო-კიური და სიძე ფრედერიკ ჟოლიო-კიური ნობელის პრემიის ლაურეატები გახდნენ (ისინიც ქიმიაში, 1935 წელს, ხელოვნური რადიაქტივობის აღმოჩენისათვის; ერთი წლის წინათ გარდაცვლილი დედა-სიდედრი ვერ მოესწრო ახლობელთა ამ ტრიუმფსძ.



კიდევ ერთ, მამაკაც ნობელიანტთა წინაშე თავმოსაწონ მაგალითად წარმოგვიდგება შესანიშნავი იტალიელი ნეირობიოლოგი ქალი **რიტა ლევი** (ნობელის პრემია დაიმსახურა ამერიკელ სტენლი კოენთან ერთად ჩანასახში ნერვული უჯრედების ავთვისებიანი გადაგვარებისა და შემდგომი ზრდის ფენომენის აღმოჩენისათვის, რაც დარგში ნამდვილ გადატრიალებად მიიჩნიესძ. მართალია, მშვენიერთა სქესისათვის დიდი ასაკით თავის მოწონება მიღებული არ არის, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ფაქტის წინაშე ვდგავართ: არც ერთ ნობელის პრემიის ლაურეატს ამ ჯილდოს მთელი ისტორიის სიგრძეზე საუკუნისათვის არ მიუღწევია, ქალბატონმა რიტამ კი ახლახან 102-ე აპრილი გადაიხადა...

ინტერესის გულისთვის გადავხედოთ ნობელიანტთა ნუსხას: შეგხვდებათ 89 წლამდე, 92 წლამდე, 95 წლამდე, 98-მდეც კი „ნაცოცხლი“ სწავლულები, აი, ასწლეულს გადაბიჯებული კი — არა...

აღსანიშნავი ისიცაა, რომ გვარი ლევი ერთ-ერთი ყველაზე მეცნიერულია საერთოდ მეცნიერების ისტორიაში. ამ სტრიქონების ავტორისათვის ოდენ მათემატიკოსი შვიდი ლევია ცნობილი — გერმანელი, ფრანგი, იტალიელი, ამერიკელი; და ვინ იცის, რამდენია კიდევ „ლევი“...

რამდენიმე სიტყვაც ფენომენურ 102 წლის ნობელიანტ ქალბატონზე: მსოფლიოს არაერთმა უნივერსიტეტმა მიაგო იმას საპატიო დოქტორისა და არაერთმა მეცნიერებათა აკადემიამ — წევრობის პატივი; რიტა ლევი ჯერჯერობით პირველი ქალია, რომის პაპის მეცნიერებათა აკადემიაში არჩეული.

10 წლის წინათ იტალიის მაშინდელმა პრეზიდენტმა სახელოვან თანამემამულეს (ამჟამად აშშ-ში მცხოვრებსძ სპეციალური დეკრეტით არგუნა იშვიათი პატივი — რესპუბლიკის უვადო სენატორობა. ჰოდა, 2006-ში 97 წლის სენატორმა, რომლისთვისაც არც პოეტური ნიჭი ყოფილა უცხო, შეთხზა ტექსტი სიმღერისათვის, დიდი წარმატებით რომ შესრულდა სან-რემოს ცნობილ ფესტივალზე.

...ნობელის კომიტეტმა გულთბილად მიულოცა 102-ე წლისთავი თავის უხუცეს და ულირსეულეს რჩეულს...

**თამაზ ებანოიძე**

◉ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

# მეტი ყურადღება სამშენებლო ნორმებისა და წესების მკაცრად დაცვას

**შენობა-ნაგებობათა თბოუნარიანობის უზრუნველყოფა იყო თემა აკადემიური დოქტორის გიორგი სადაღიშვილისა და ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ლევან მახვილაძის ერთობლივი მოხსენებისა, რომლითაც ისინი აკადემიის აკადემიური საბჭოს მორიგ სხდომაზე წარსდგნენ.**

აღინიშნა, რომ ამჟამინდელი მდგომარეობით ბინათმშენებლობას კერძო საპროექტოები თუ სამშენებლო ფირმები ეწევიან. კაი ხანია, რაც წარმოებაში აღარ გამოიყენება მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები და ირღვევა სათანადო სამშენებლო ნორმები და წესები. საქართველოში ექსპლუატაციაში შესულია ან შედის ასეულობით საცხოვრებელი სახლი და ათასობით ბლოკური მრავალსართულიანი შენობა, ნაანგარიშევი 7-ბალიან მიწისძვრაზე. არადა, იმათი უმრავლესობა, ახალი დარაიონების მიხედვით, „პოტენციურად“ 8 და 9-ბალიან ტერიტორიებზეა მოხვედრილი, რაც, გასაგებია, სერიოზული საფრთხის შემცველია.

მოყვანილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად, მომხსენებელთა აზრით, აუცილებელია, პირველ რიგში, უკვე არსებული (ექსპლუატირებულიძ შენობანაგებობების სეისმომედეგობის ამაღლება, ისევე როგორც აუცილებელია ზენორმატიული გადახრით ნიშანდებული შენობების გასწორება-გამაგრების სამუშაოთა შესრულება.

ამასთან ერთად, საჭიროა, ჩვენი კლიმატური პირობების არსებითი გათვალისწინებით, შენობა-ნაგებობათა თბოწინაღობის იმ სამშენებლო ნომრებისა და წესების დაცვა, რომლებიც სპეციალისტებმა შეადგინეს და დაადგინეს. შესაბამისი დოკუმენტი გადაგზავნილია ქვეყნის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში.

მოხსენების დროს საგულისყუროდ გაისმა აკადემიის პრეზიდენტის თამაზ გამყრელიძის შენიშვნა — 11 მარტს იაპონიაში, თითქმის 10-ბალიანი მიწისძვრის დროს, არც ერთი შენობა არ დანგრეულა, ისეთი მედეგობითა და საიმედოობით იყვნენ აგებულნი; მთელი ნგრევა და უბედურება ცუნამმა გამოიწვია... საქართველოში კი შენობებს მხოლოდ 7 ბალზე გავითვლით...

აკადემიურმა საბჭომ მოიწონა წარმოდგენილი მოხსენება და სთხოვა მთავრობას შემდეგი ღონისძიებების გატარება: დაამტკიცოს და აამოქმედოს ქართველ სპეციალისტთა შემუშავებაში თბოწინაღობის ნორმები და წესები; ადრე მიღებულ დადგენილებათა საფუძველზე დანერგოს პრაქტიკაში ბინათმშენებლობის ინდუსტრიული ხერხები; იზრუნოს ბლოკური შენობების სეისმომედეგობის ამაღლებაზე 8-9 ბალამდე, შესაბამისად ახალი დარაიონებისა; მოახდინოს ზენორმატიული გადახრის შენობა-ნაგებობების გასწორება-გამაგრება, კვლავ სეისმომედეგობის გაზრდით.

შემოთავაზებული წინადადებების რეალიზება წარმოებაში მნიშვნელოვნად შეამცირებს ბინათმშენებლობაში საექსპლუატაციო ხარჯებს.

90 წელი შესრულდა გამოჩენილი მეცნიერის კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან. ქართული მეცნიერების წინაშე მისი დიდი ღვაწლის, მისი მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის გათვალისწინებით, მაისში შედგება განსვენებული სწავლულის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა.

საბჭომ აგრეთვე იმსჯელა ახლახან გარდაცვლილი აკადემიკოსის თინათინ ყაუხჩიშვილის ფუნდამენტური ნაშრომის „საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსის“ ინგლისურად თარგმნისა და გამოცემის თაობაზე. აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, თუ რა საერთაშორისო რეზონანსი და მნიშვნელობა ექნება ინგლისურად ამ შესანიშნავი მონოგრაფიის დასტამბვას.

**ჩვენი სპეც. კორ.**

◉ ინფორმაცია




## მოიგებს კი ქოქოლაძე სააპელაციო სასამართლოს?

**სს „ელიტ ელექტრონიქსის“ დამფუძნებელი და დირექტორი ანზორ ქოქოლაძე სააპელაციო სასამართლოსთვის ემზადება, რადგანაც 2011 წლის 21 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოში დასრულდა სს „ელიტ ელექტრონიქსის“ დამფუძნებლისა და ყოფილი დირექტორის ანზორ ქოქოლაძის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე და 360-ე მუხლებით დაწყებული სასამართლო გამოძიება.**

**ა. ქოქოლაძის ადვოკატის ლელა ნადიბაიძის განცხადებით: მიუხედავად იმისა, რომ დაცვის მხარეს სასამართლოსათვის წარდგენილი ჰქონდა უტყუარი მტკიცებულებები, რითაც უდავოდ დასტურდება ა. ქოქოლაძის უდანაშაულობა, სასამართლომ არ გაითვალისწინა აღნიშნული და ა. ქოქოლაძეს 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. ა. ქოქოლაძე თავისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისთვის ემზადება.**

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ბედისწერა



# მოდილიანი - ტრაგიკოსი და მონსტრი

მართალია, სიტყვა „დიდი“ გაცვდა ხშირი გამოყენებისგან (და ბოროტად გამოყენებისგან), მაგრამ მაინც ჰამბურგის ანგარიშით გასულ საუკუნეში იყო მხოლოდ ერთი – პიკასო. მისი ნახატები ძალიან მიყვარს, მაგრამ ჩემ საყვარელ მხატვრებს შორის არიან ერთი რანგით დაბალი მხატვრები, რაც მათ ჩემს თვალში სულაც არ ამცირებს: შაგალი, მაგრიტი, მოდილიანი. სწორედ ამადეო მოდილიანზე მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა, მადლობა ღმერთს, ამისთვის არის საბაბიც: გამოვიდა მისი მორიგი ბიოგრაფია, მისი ავტორია მერილ სეკრესტი.

სიცოცხლეში თითქმის სრულიად უცნობმა სიკვდილისშემდგომ უკვდავებაში გადააბიჯა. მისი ნახატების ფასები არა მხოლოდ იკბინებიან, ლამის ზღვარს იქითაც მიდიან: „სოთბის“ უკანასკნელ აუქციონებზე შარშან მისი ორი ტილო 60,6 და 68,9 მილიონებად გაიყიდა. რომ ალარაფერი ვთქვათ ალურიცხავ ალბომებზე, მონოგრაფიებზე და ბულვარულ რომანებზე. თეფშებზე, ხილაბანდებზე, ბიჟუტერიაზე მისი რეპროდუქციებით, დაბოლოს, ორ ფილმზე მის შესახებ: ჟერარ ფილიპით „მონპარნას-19“-ში და ედი გარსიათი „მოდილიანში“.

მესმის ანა ახმატოვას წუხილის გრძნობა, როდესაც ათასი რამე გაიგო იმ კაცთან დაკავშირებით, ვისაც ის ახლოს, შუალედებით, იცნობდა 1910-11 წლებში – მანამდე დიდი ხნით ადრე, როდესაც მოდილიანი მითად იქცა. მოდილიანი ბევრს ხატავდა მას შიშველს, და ახალი ბიოგრაფი მერილ სეკრესტი, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, წერს მათ შესახებ, როგორც საყვარლებზე. არ ვიცი – სანთლები არ მჭერია ხელში. თუმცა შეიძლება: მოდილიანს უყვარდა თავისი საყვარლების (და არა მხოლოდ მათი) ხატვა.

ის იტალიელია, ქალი – რუსი, საუბრობდნენ ფრანგულად, და მოდილიანი, ახმატოვას სიტყვებით, მიმართავდა მას თქვენობით. საერთო აღიარებით, და შემორჩენილი პორტრეტებითაც თუ ვიმსჯელებთ, მოდილიანი იყო ლამაზი, როგორც ღვთაება. როდესაც ის და ახმატოვა ერთმანეთს შეხვდნენ, ის 26 წლისა იყო (თქმით კი უთხრა, რომ 24 წლისაა და რომ არის ებრაელი), ახმატოვა 20-ისა და ის ახალი გათხოვილი იყო გუმილიოვზე. თუმცა, გუმილიოვი არ უყვარდა, წინააღმდეგი იყო მასზე გათხოვებისა და დაჰყვა ამაზე მხოლოდ მას შემდეგ, რაც გუმილიოვი დაემუქრა, რომ თავს მოიკლავდა. ახმატოვა იყო თავისუფალ ვნებათა ქალი, ცრუწმენათა გარეშე, არ იყო შებორკილი სასიყვარულო-მატრიმონიალური ვალდებულებებით: გათხოვება იძულებითი იყო. და მიუხედავად ამისა, თუნდაც ძველმოდურად ჩამთვალეთ, მაგრამ ვუშვებ, რომ ანასა და მოდის შორის, როგორც მას მახლობლები ეძახდნენ – ყოველ შემთხვევაში, ნაცნობობის პირველ წელს – დამოკიდებულება პლატონური იყო, თუმცა ახმატოვა პოზირებდა მის წინაშე შიშველი, მწოლიარე. ამ ნახატებზე მისი სხეულის ხაზები ამაღელვებელია, ალმგზნები – ეს ხომ არ არის საბაბი იმისა, რასაც მიაწერენ მათს ურთიერთობას? მენატურეა თუ საყვარელი – რა მნიშვნელობა აქვს ახლა ამას? მით უმეტეს, ქალი იყო „იზოგენური“ და მის პორტრეტებს ბევრი შესანიშნავი ფერმწერი ხატავდა, მათ შორის ნათან ალტმანი და ალექსანდრ ტიშლერი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ანას მათთან ექინა.

რაც უტყუარია – მათ მოხიბლეს ერთმანეთი, ერთ-ერთ წერილში მოდილიანმა მას თავისი „ცდუნება“ უწოდა და ხშირად იმეორებდა, რომ მათ ერთმანეთისა ესმით, როგორც არავის. მათ ერთმანეთთან აკავშირებდა სწრაფვა პოეზიისა და ხელოვნებისკენ. მათ არ უყვარდათ და უყვარდათ ერთი და იგივენი – მინუსებში იყვნენ ერუდიტი სატირიკოსი ანატოლ ფრანსი და „დეკლამატორი“ ვიქტორ ჰიუგო, სამაგიეროდ, საათობით იმეორებდნენ მალარმეს, ბოდლერის, ვერლენის ლექსებს. მოდილიანმა ზეპირად იცოდა თავისი თანამემამულის დანტეს მთელი „ღვთაებრივი კომედია“. ახმატოვა წერს, რომ პოეზიის სიყვარული – მხატვრების იშვიათი თვისებაა.

მემუარისტებისგან – ერენბურგისგან, ახმატოვასგან, მოქანდაკე ჟაკ ლიფშიცისგან ან ბრიტანელი ექსცენტრიკოსი ბეატრის ჰასტინგსისგან განსხვავებით, ეს უკანასკნელი კი ნამდვილად იყო მოდილიანის საყვარელი თითქმის ორი წლის განმავლობაში, რასაც არასოდეს მალავდა, ბიოგრაფის წინაშე მეტად რთული ამოცანა დგას: გაასუფთაოს სინამდვილე ჭორებისა და ღვარძლისგან. ერთი მხრივ, არ უნდა გამოტოვო არც ერთი სკანდალური ლეგენდა ან პიკანტური ხმა, მოდილიანი კი მათ იზიდავდა როგორც ანდამატი, და არც არასოდეს უარყოფდა ხოლმე მათ, მიიჩნევდა ამას თავისი იმიჯის ნაწილად, მათი სიმართლის მიუხედავად, თუმცა ამ ნეგატიურმა პაბლისიტმა მხატვრის დიდებაზე თავი იჩინა მხოლოდ სიკვდილის შემდეგ. მეორე მხრივ, გამოარკვიოს – რამდენად არის ეს შესაძლებელი ახლა, ასი წლის შემდეგ – სად არის აპოკრიფი და სად რეალი.



## ხელოვნება მორალზე მაღლაა?

*არიან დიდი მხატვრები, არიან საყვარელი მხატვრები. ზოგჯერ ეს ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ყოველთვის არა.*

მე სხვა აზრისა ვარ: ერთადერთი რეალობა, რასაც მხატვარი თავის შემდეგ ტოვებს – ეს არის ხელოვნება. მოდილიანის პორტრეტები და „ნიუ“ (შიშველი სხეულები) არიან გასაოცრები და შეუდარებლები. ის ხელოვნებაში მიდიოდა თავისი გზით, არ ემხრობოდა არც ერთ მოდურ მიმდინარეობას. უკვე თავისი ტრაგიკული ცხოვრების ბოლოს, როდესაც იყო კუბისტების გამოფენაზე და იხილა პიკასოს და ბრაკის ნახატები, დაიჩივლა, რომ ჩამორჩა ათი წლით. როდესაც ამ სიტყვებს კომენტარს უკეთებდა, ცნობილი კრიტიკოსი „ნიუ-იორკ ტაიმსიდან“ ჰოლანდ კოტერი თვითდაჯერებულად წერდა, მოდილიანი აბსოლუტურად სწორი იყოო. როგორ არ არის მართალი კრიტიკოსი! რად სჭირდებოდა მოდილიანს ყოფილიყო კუბისტი ან ფოვისტი, როდესაც ის მოდილიანი იყო! მისი რომელილაც ჯადოსნური, არამიწიერი კოლორიტი – ეს არის სილურჯისა და ჟანგმიწის შერწყმა, ნატიფი მონახაზები, დახრილი კვერცხისმაგვარი თავები, ოდნავ დამახინჯებული კონტურები, ნახევრად დახუჭული ან დახუჭული თვალები – ისინი არაფერში და არავისში შეცდომლება. ის არავის ბაძავდა და მისი მიბაძვაც შეუძლებელია, ამიტომ არ დაუტოვებია მას არანაირი მიმართულება ხელოვნებაში (სამაგიეროდ, რა იოლია მისი სურათების გაყალბება!). ის არასოდეს ხატავდა ნატურმორტებს, იმ დროისთვის პოპულარულ ჟანრს, მარტო ერთი პეიზაჟი დატოვა – მხოლოდ პორტრეტები და მწოლიარე შიშველი ქალები, რომლებიც ახალგაზრდობიდანვე მაგიჟებდნენ. დიახ, მიყვარდა მოდილიანი ადრეული წლებიდან – დღემდე.

მაგრამ ერთია – ხელოვნებათმცოდნეობა, მეორე – ბიოგრაფია, რომლის ჟანრშიც მუშაობს მერლინ სეკრესტი (მისი ორი წინა წიგნი – სიურეალისტ სალვადორ დალიზე და არქიტექტორ ფრანკ ლოიდ რაიტზე). მაგრამ ბიოგრაფია ბიოგრაფიისგან განსხვავდება. არის აგიოგრაფია (წმინდანთა ცხოვრება), რომელიც ვაი რომ არაფრით არ მიესადაგება მოდილიანს: ის არ ყოფილა წმინდანი – ალბათ, უფრო პირიქით. ახალი წიგნი მოდილიანის შესახებ – უფრო ანტიაგიოგრაფიაა. ან, როგორც ახლაა მიღებული, პათოლოგრაფიაა.

მოდილიანში ნიჭი შეხამებული იყო მონსტროკარჩაკეტილობასთან. ის ბავშვობიდან ჭლექით იყო დაავადებული (მის გამოც გარდაიცვალა 35 წლის ასაკში 1920 წელს), თავისი ავადმყოფობის შესახებ ის არ აფრთხილებდა არც მეგობრებს, არც საყვარლებს და ზოგიერთს გადაედო კიდეც მისგან ბოროტი კოხის ჩხირები. მოდილიანი იყო არა უბრალოდ ტიპური წარმომადგენელი პარიზის ბოჰემისა, არამედ სუპერბოჰემისტიც, რომელიც ცხოვრობდა უწესრიგო ცხოვრებით (სექსუალურის ჩართვით), გადადიოდა საცხოვრებლად ერთ ადგილიდან მეორეში, მუდამ ჯიბეგაფხეკილი, ლოთი და ნარკომანი (ჰაშიში, კოკაინი, ოპიუმი), მაგრამ ის ჩიოდა არა სიღარიბეზე ან ულიარებლობაზე, არამედ მხოლოდ იმაზე, რომ „გარს აკრავს სიმარტოვის მჭიდრო რგოლი“. 1918 წლის მაისში, გუმილიოვმა, როდესაც სიტყვა მოდილიანზე ჩამოვარდა, ახმატოვას უთხრა, რომ ის არის „ლოთი ურჩხული“ და ცოლს აცნობა, რომ მხატვარმა სკანდალი გამართა იმის გამო, რომ გუმილიოვი კომპანიაში რუსულად ლაპარაკობდა. ან, იქნებ, ეს ეჭვიანობის დაგვიანებული სცენა იყო? იცოდა მოდილიანმა, რომ გუმილიოვი მისი ყოფილი საყვარლის ქმარი იყო? ან იცოდა გუმილიოვმა მათი ურთიერთობის შესახებ? როგორიც უნდა ყოფილიყო ეს ურთიერთობანი, ახმატოვამ მოდიზე აღმაფრთოვანებელი მემუარი დატოვა:

„ალბათ, ჩვენ არც ერთს არ გვესმოდა ერთი არსებითი რამ: ყველაფერი, რაც ხდებოდა, ჩვენთვის, ორივესთვის იყო ჩვენი ცხოვრების წინარეისტორია: მისი – მეტად ხანმოკლე, ჩემი – ძალიან გრძელი. ხელოვნების სუნთქვამ ჯერ ვერ დაანახშირა, ვერ გარდაქმნა ეს ორი არსებობა, ეს უნდა ყოფილიყო ნათელი განთიადის წინა საათი. მაგრამ მომავალი, რომელიც, როგორც ცნობილია, თავის ჩრდილს ჰფენს იმაზე ადრე, სანამ შემოვა, სარკმელზე აკაკუნებდა, იმალებოდა ფარნებს უკან, კვეთდა სიზმრებს და გვაშინებდა ბოდლერის პარიზით, რომელიც მიყუჟულიყო სადღაც მახლობლად. და ყოველივე ღვთიური მოდილიანში მხოლოდ ნაპერწკლებს აფრქვევდა სადღაც წყვდიადიდან. თავი მას ანტონიუსისა ჰქონდა და თვალები ოქროს ნაპერწკლების – ის სავსებით არავის ჰგავდა ამ ქვეყანაზე“.

ვის დავუჯეროთ – გუმილიოვს („ურჩხული“) თუ ახმატოვას („ღვთიური“)? მხატვარ ოსიპ ცადკინს („ნორჩი ღმერთი“) თუ პოეტ მაქს ჟაკობს, რომელმაც, მიუხედავად მოდილიანთან ახლო და ხანგრძლივი მეგობრობისა, მასზე დაწერა, რომ ეს არის „ყველაზე არასასიამოვნო ადამიანი მათ შორის, ვისაც ვიცნობდი. ქედმაღალი, გაღიზიანებული, უგრძნობელი, გაფუჭებული“? რასაკვირველია, თავად მოდი იყო დაკოდილი სული და ტრაგიკული ფიგურა. ბავშვობიდან ტუბერკულოზით დაწყებული და სიცოცხლის განმავლობაში ულიარებლობით დამთავრებული, სრული მარტოობიდან სიღარიბემდე, ანტისემიტიზმამდე, რისადმიც ის, მისი მეგობრის ჟაკ ლიპშიცის სიტყვებით, მეტად მგრძნობიარე იყო: მოდილიანი იყო სეფარდების ძველი და ინტელიგენტური ოჯახიდან, დედის მხრიდან მისი გვარი დიდი ჰოლანდიელი ფილოსოფოსის სპინოზიდან მოდიოდა. მაგრამ საკუთარი უბედურება ჯერ კიდევ არ არის არც ალიბი და არც გამართლება, თუ კაცს უბედურება მოაქვს სხვებისთვის. მან დატოვა ქალების გასაოცარი, ფაქიზი, ამაღლებული პორტრეტები – მას ხომ „თანამედროვე ბოტიჩელის“ უწოდებდნენ. მაგრამ მათ მიერ განებივრებული ეს ლამაზი მამაკაცი მათ უყურებდა ზიზღით და დამამცირებლად და ეპყრობოდა, როგორც ცხოველებს.

ყველაზე, საშინელი თავგადასავალი მას გადახდა სიცოცხლის ბოლოს, როდესაც ის თავით-ფეხებამდე ნიჭიერ ფრანგ მხატვარს ჟანა ებიუტერს შეუყვარდა. ის იყო ნორჩი, ნაზი, მორიდებული და დელიკატური (როგორც იგი შვეიცარიელმა რომანისტმა შარლემ-ალბერ სინგრიამ აღწერა). ჟანა თავგამოდებული კათოლიკური ოჯახიდან იყო, მისი მშობლები უცნობ და ღარიბ ბოჰემურ პიროვნებასთან, თანაც ებრაელთან მისი კავშირის მკაცრად წინააღმდეგები იყვნენ. თუმცა მოდილიანი არც ჩქარობდა მის ცოლად მოყვანას, თუმცა რამდენჯერმე დაჰპირდა კიდეც: როდესაც მათ გაუჩნდათ გოგონა და როდესაც ის მეორედ დაორსულდა. მანამდე კი ისინი ხატავდნენ ერთმანეთის პორტრეტებს და ერთი ჯურღმულიდან მეორეში გადადიოდნენ – ღარიბები, უსახლკარონი, უცნობები. ჟანა მოდილიანის უკანასკნელი მუზა, მოდელი და თემა იყო. მაგრამ ფიზიკური წამებითა და ნარკოტიკებით გატანჯული, ის დასცინოდა, შეურაცხყოფას აყენებდა ან რაც კიდევ უფრო უარესია! – უგულებელყოფდა ჟანას, ღალატობდა მას სხვა ქალებთან. ამბობენ, ტუბერკულოზი ამწვავებს სექსუალობას – მომაკვდავი ჭლექიანები ჩქარობენ დათესონ თესლი მუდმივობაში.

როგორც კი მოდილიანი გარდაიცვალა და დაკრძალეს პერ-ლაშეზის ელიტური სასაფლაოს ებრაელთა მონაკვეთზე, მშობლებმა თავისთან წაიყვანეს ჟანა, მაგრამ ვეღარ გაუფრთხილდნენ მას ბოლომდე: მოდილიანის გარდაცვალების ორი დღის შემდეგ ის, ფეხმძიმობის მეცხრე თვეს, მეექვსე სართულიდან გადმოხტა. მშობლები ყოველნაირად წინააღმდეგები იყვნენ მისი ბოლო სურვილისა და ქალიშვილი დაკრძალეს ადგილობრივ სასაფლაოზე. და მხოლოდ ათი წლის შემდეგ მისი ნეშტი გადაიტანეს და დაკრძალეს მოდილიანის საფლავის გვერდით პერლაშეზე.

დაე, არ ყოფილიყო მოდილიანი არც გენიოსი, არც ბოროტმოქმედი, მაგრამ ჩვენს გონებაში უმალვე ცოცხლდება პუშკინის ანტითეზა – ეთავსებიან განა ერთმანეთს გენიოსობა და ბოროტმოქმედება? თანაც როგორ! თავად მოდილიანი ახალგაზრდობის წლებიდან თავს უფლისწულად მიიჩნევდა, მწვავედ განიცდიდა თავის განსაკუთრებულობას და ხელოვნებას, მაშასადამე – მხატვარსაც ზნეობრივ სტანდარტებზე მაღლა აყენებდა. ბევრი მხატვარი აღიარებს ამგვარ შეხედულებას, მაგრამ მოდილიანი ცხოვრობდა ამ შეხედულებებით, თანაც უგულებელყოფდა მათ ან ანგრევდა კიდეც, რისი შედეგიც იყო ჟანას და მათი დაუბადებელი შვილის დაღუპვა. მეორე მხრივ კი – მხატვრის ამორალური ცხოვრება არ ამცირებს მის ხელოვნებას.

უდიდესიდან სასაცილომდე ერთი ნაბიჯია, ასეა? ტრაგიკულიდან მონსტრულ კარჩაკეტილობამდე? საკითხავი აი ეს არის.

ვლადიმირ სოლოვიოვი,
„В НОВОМ СВЕТЕ“ (აშშ)

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის განცხადებას საქართველო ვეტოს დაადებს?

**რუსეთი და საქართველო პრაქტიკულად ერთმანეთს არ ელაპარაკებიან მას შემდეგ, რაც 2008 წლის აგვისტოში მათ შორის იყო ხანმოკლე ომი, რაც საქართველოს თავისი ტერიტორიის მეხუთედი ნაწილი დაუჯდა.**

მაგრამ ამ კვირაში ორი ქვეყანა ერთმანეთს ხვდება შვეიცარიის ნეიტრალურ ტერიტორიაზე, რათა შეეცადონ მონახონ შეთანხმება რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით, რაზეც საქართველოს, როგორც ამ ორგანიზაციის ნამდვილ წევრს, აქვს დაბლოკვის უფლება.

17 წლის მოლაპარაკების შემდეგ რუსეთმა გადალახა ბევრი დაბრკოლება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისკენ მიმავალ გზაზე და ელოდებიან, რომ იგი შეუერთდება გაისად ორგანიზაციას, რომლის რიგებშიც 156 ქვეყანაა. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრობა შეუქმნის ნიადაგს უცხოური ინვესტიციების აფეთქებას, რაც აუცილებელია ეკონომიკის მოდერნიზაციისთვის და რაც, მსოფლიო ბანკის გაანგარიშებით, რუსეთის საშინაო მთლიან პროდუქციას დაუმატებს 3,3 პროცენტს მოკლევადიან და 11 პროცენტს ხანგრძლივ პერსპექტივაში.

მოლაპარაკება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან დაკავშირებით რუსეთსა და საქართველოს შორის შეწყდა 2008 წლის დასაწყისში იმ დროს, როდესაც დაძაბულობა ომის წინა პერიოდში იზრდებოდა სეპარატისტული რეგიონების აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის გამო. როდესაც საქართველოს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა, კრემლმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა და განათავსა იქ ათასობით სამხედრო მოსამსახურე. ამ ნაბიჯმა საერთაშორისო გაერთიანების პროტესტი გამოიწვია.

ახლა, პირველად ომის შემდეგ, საქართველოს აქვს რუსეთზე ზემოქმედების ინსტრუმენტი.

მაგრამ რუსეთი დიდგულზეა და იმუქრება, რომ გვერდს აუვლის საქართველოს წინააღმდეგობას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში თავისი შესულის განცხადებასთან დაკავშირებით. „არ მინდა დეტალურად ჩავერთო ამ თემაში (იმის შესახებ, თუ რუსეთს როგორ შეუძლია შეუერთდეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას საქართველოს თანხმობის გარეშეძ, – განაცხადა ამ კვირაში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა. – ვადასტურებ, რომ ასეთი შესაძლებლობანი არის და




ისინი ემყარება პრინციპებს, რითაც მოქმედებს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია“.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ ლავროვის განცხადებას „შანტაჟი და ბლეფი“ უწოდა.

„ჩვენ გვსურს ვითანამშრომლოთ რუსეთთან და შვეიცარიელ შუამავლებთან, რათა გამოვნახოთ გამოსავალი ამ სამართლებრივი აბსურდიდან, რომელიც შექმნა რუსეთის ფედერაციამ თავისი გადაწყვეტილებით აღიაროს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა“, – განაცხადა მან.

მაშინაც კი, თუ მას კიდევ აქვს რაიმე უფლება რუსეთზე, მოლაპარაკება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან დაკავშირებით მაინც უკიდურესად მგრძნობიარეა საქართველოსთვის, ვინაიდან შეეხება მისთვის მტკივნეულ საკითხს დაკარგული ტერიტორიული მთლიანობის გამო. აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის საზღვრები, რაც თავის დროზე იყო არხები საქართველოს საგარეო ვაჭრობის დიდი ნაწილისთვის, დღეს მიუღწეველია და იქ რუსეთის ჯარისკაცები პატრულირებენ.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტა განზე დადგეს ამ მოლაპარაკებისგან, მას რუსეთისა და საქართველოს ორმხრივი საქმე უწოდა. ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ უჭერს მხარს საქართველოს უფლებას ტერიტორიულ მთლიანობაზე, მაგრამ მოულოდნელად ელოდება ახალ შესაძლებლობებს ვაჭრობისთვის, რომელიც გაიხსნება, როდესაც რუსეთი შეუერთდება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას.

დასავლელი დიპლომატები ამბობენ, რომ დავა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით ჩიხში შევიდა. ეს, რასაკვირველია, მძიმე და რთულია საქართველოსთვის, მაგრამ მაინც უკეთესია, ვიდრე ომი. საქართველომ შეიძლება დაკარგა კონტროლი თავის ტერიტორიებზე, მაგრამ, ეტყობა, მან აღარ უნდა იღელვოს რუსეთის შემდგომ სამხედრო აგრესიაზე, ვიდრე არ დამთავრდება 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშები.

ვაშაძემ თქვა, რომ საქართველო მოლაპარაკების დროს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან დაკავშირებით არ დააყენებს პოლიტიკურ ან სამხედრო თემებს. მთელი ყურადღება გამახვილდება ვაჭრობის წესებზე, რომლებიც დაფიქსირებულია ორგანიზაციის წესდებაში. მიუხედავად ამისა, საქართველომ უნდა მიიღოს შესაძლებლობა გააკონტროლოს თავისი საზღვრები და საბაჟო ტერმინალები, თქვა მან.

მართალია ნაკლებად სავარაუდოა, რომ რუსეთმა ნება მისცეს ფორმაში გამოწყობილ ქართველ მებაჟეებს იმუშაონ თავისი ჯარისკაცების გვერდით აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის საზღვრებზე, საქართველოსაც შეუძლია მიიღოს რაიმე, თუ რუსეთი შეუერთდება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას.

რუსეთის მიერ შემოღებული აკრძალვა საქართველოს ღვინოებსა და მინერალურ წყლებზე, რაც მან 2000 წელს შემოიღო ჯაშუშების გამოვლინებასთან დაკავშირებით, ძნელად რომ გასაგები იყოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისთვის, რომელიც დაბეჯითებით მოითხოვს თავისუფალი ვაჭრობის წესების მკაცრ დაცვას.

**FINANCIAL TIMES**

**მოკლეს №1 ტერორისტი**

# „სამართლიანობის აღდგენის“ ოპერაცია



**მსოფლიოს ნომერ პირველ ტერორისტად აღიარებული ოსამა ბინ ლადენი ლიკვიდირებულია.**

გუშინ ცნობილი გახდა, რომ ამერიკელმა სამხედროებმა მისი განადგურების სპეცოპერაცია ისლამაბადის მახლობლად დაახლოებით ერთი კვირის წინათ განახორციელეს.

ბინ ლადენის ლიკვიდაციის შესახებ სპეციალური განცხადება თავად აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ გააკეთა.

„ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განახორციელა ოპერაცია, განადგურებულია ოსამა ბინ ლადენი, რომელსაც ეკისრებოდა პასუხისმგებლობა ათასობით უდანაშაულო ადამიანის, მათ შორის ბავშვების დაღუპვაზე. დაახლოებით ერთი კვირის წინათ მე გადავწყვიტე, რომ საკმარისი სადაზვერვო მონაცემები გვქონდა, რის შემდეგაც მივეცი თანხმობა ოპერაციის ჩატარებაზე. ჩემი ხელმძღვანელობით პაკისტანის ქალაქ ისლამაბადთან ჩატარდა ოპერაცია, რომლის დროსაც ამერიკელმა სამხედროებმა გაუგონარი მამაცობა გამოავლინეს, ლიკვიდირებულია ოსამა ბინ ლადენი, მოპოვებულია ცხედარიც“, – განაცხადა ობამამ.

ოსამა ბინ ლადენი ტერორისტული დაჯგუფება „ალ ქაიდას“ მეთაური იყო. მის სახელს უკავშირდება ამერიკის ისტორიაში ყველაზე საშინელი ფაქტი – 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა მიმართა ამ ტერაქტის დროს დაღუპულთა ოჯახებსაც. „ჩვენ ყოველთვის გვახსოვდა, რა მოხდა 11 სექტემბერს“, – აღნიშნა ბარაქ ობამამ.

ბინ ლადენი 54 წლის იყო.

* * *

**ამერიკელი სამხედროების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, ოსამა ბინ ლადენთან ერთად მისი ერთ-ერთი ვაჟიც დაიღუპა.**

ინფორმაციას ამის შესახებ სააგენტო „ფრანს-პრესი“ აშშ-ის ადმინისტრაციაზე დაყრდნობით ავრცელებს.

დაღუპული შვილის სახელი არ სახელდება. სააგენტო წერს, რომ ბინ ლადენს 19 შვილი ჰყავდა.

სააგენტოს წყაროს ინფორმაციით, მამაშვილთან ერთად, ორი კურიერი და ერთი ქალბატონიც დაიღუპა.

„ლენტა.რუ“ წერს, რომ ბინ ლადენის სალიკვიდაციო სპეცოპერაცია პაკისტანის ქალაქ აბოტაბადში ჩატარდა. „ასოშიეიტედ პრესი“ იუწყება, რომ შენობა, სადაც ბინ ლადენი იმალებოდა, ოთხმეტრიანი ბარიერით იყო შემოღობილი.

„იტარ-ტასის“ ინფორმაციით, ოპერაციის დაწყებამდე პაკისტანის ხელისუფლებამ ამერიკელ სამხედროებს ქვეყნის საჰაერო სივრცის გამოყენების ნებართვა მისცა.

* * *

**ოსამა ბინ ლადენის ლიკვიდაციის შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ამერიკის მოქალაქეები გააფრთხილა.**

„აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი საზღვარგარეთ მცხოვრებ ან სამოგზაუროდ მყოფ მოქალაქეებს მათ წინააღმდეგ ძალადობის გამოვლენის საფრთხის რისკის შესახებ აფრთხილებს“, – ნათქვამია აშშ-ს დეპარტამენტის განცხადებაში.

სახელმწიფო დეპარტამენტი ამერიკელებს მთელ მსოფლიოში მაქსიმალური სიფრთხილისაკენ მოუწოდებს.

„იმ რაიონში, სადაც ბინ ლადენის ლიკვიდაციის ოპერაცია განხორციელდა, შესაძლოა, გაიმართოს ანტიამერიკული დემონსტრაციები. აშშ-ს მოქალაქეებმა უნდა შეზღუდონ გადაადგილება, დარჩნენ იმ სახლებსა და სასტუმროებში, სადაც იმყოფებიან და თავი აარიდონ ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით გამართულ შეკრებებსა და დემონსტრაციებს“, – ნათქვამია დოკუმენტში.

ამასთან, სახელმწიფო დეპარტამენტმა აშშ-ის მოქალაქეებს მოუწოდა, თვალი ადევნონ საინფორმაციო გამოშვებებს. გაფრთხილება 1 აგვისტომდე იმოქმედებს.

ამასთან, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შესაძლოა, საზღვარგარეთ თავისი წარმომადგენლობები დროებით დახუროს.

* * *

**მას შემდეგ, რაც ბინ ლადენის ლიკვიდაციის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, ათასობით ადამიანი, როგორც ამერიკელები, ასევე ვაშინგტონში მყოფი ტურისტები, თეთრ სახლთან შეიკრიბნენ და ინფორმაციის ოფიციალურად დადასტურებას ელოდებოდნენ.**

ვიდრე პრეზიდენტი ბარაქ ობამა ბინ ლადენის განადგურებას ოფიციალურად დაადასტურებდა, ვრცელდებოდა სხვადასხვა მოსაზრებები ანტიტერორისტული ოპერაციის მიმდინარეობისა და გარემოებების შესახებ.

ნაწილი მიიიჩნევდა, რომ ვინაიდან ოპერაცია პაკისტანის ტერიტორიაზე ჩატარდა, შესაძლებელი იყო ბინ ლადენის „შეფარებასა“ და „ხელის დაფარებაში“ პაკისტანის მთავრობა ყოფილიყო ჩარეული. ვრცელდებოდა, ასევე, ინფორმაციაც, რომ ოპერაცია უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით ჩატარდა.

საბოლოოდ ადგილობრივი დროით, დაახლოებით, 23:00 საათზე პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება, რომ ბინ ლადენი ლიკვიდირებული იყო. პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ გაირკვა, რომ ოპერაცია ამერიკულმა ქვედანაყოფებმა ჩაატარეს და მათ პაკისტანის მთავრობა აქტიურად უჭერდა მხარს.

როგორც ამერიკელები აცხადებენ, მათ როგორც იქნა, ჩამოირეცხეს სირცხვილი 11 სექტემბრის ტერაქტის შედეგად დაღუპული ადამიანების წინაშე და ამით ბედნიერები არიან.

პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ ოსამა ბინ ლადენის ლიკვიდაციას სამართლიანობის აღდგენის ოპერაცია უწოდა.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◎ 70 წლის ახალგაზრდა

# ჩვენი ბავშვობის სასახლე – მუდამ მზესავით ბრიალა, ყოფა რომ გაგვიხალისა და სული გაგვიკრიალა

აშენდა იგი 1818 წელს, როგორც კავკასიაში რუსთა მეფისნაცვლის რეზიდენცია და წლების მანძილზე გარკვეული მიშენებები და რეკონსტრუქციები ჩაუტარდა. მისი ძირითადი იერსახე XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა.

1918 წელს აქ სხვადასხვა დროს გამოცხადდა საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა.

1921 წელს ამ შენობაში შემოვიდა გასაბჭოებული საქართველოს მთავრობა.

1936 წელს გადაწყდა შენობის მოსწავლეებისთვის გადაცემა და 1937 წლიდან დაიწყო სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

1941 წლის 2 მაისს ოფიციალურად გაიხსნა სასახლე და იწოდებოდა, როგორც „ლავრენტი ბერიას სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლე“.

1953 წლიდან მიენიჭა „რესპუბლიკურის“ ტიტული და ბორის ძნელაძის სახელი.

1966 წლიდან მისი სრული დასახელებაა – „შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე“.

1991 წლიდან – „მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლე“.

მშრალი ციფრებია არა?.. აბა, ერთი ჰკითხეთ უფროსი თაობის დღეს უკვე სახელმოხვეჭილ მწერლებს, პოეტებს, მსახიობებს, მომღერლებს, მოცეკვავეებს, მხატვრებს... ეს მრავალპროფილიანი, საგანმანათლებლო-სასწავლო დაწესებულება, აქ მოღვაწე მრავალი შესანიშნავი პედაგოგი, როგორ წვრთნიდა და აფრთიანებდა მოზარდებს, როგორ უფაქიზებდა, უკრიალებდა სულს...

უკვე შვიდი ათეული წელი გასულა მისი გახსნიდან. დღეს სასახლის 70 კაბინეტში 700-ზე მეტი წრე და 50-მდე მხატვრულ-შემოქმედებითი კოლექტივი მუშაობს, რომლებშიც 7000-მდე მოსწავლეა გაერთიანებული... ამ მოსწავლეებს ხელსაყრელი პირობები აქვთ თვითრეალიზაციისა და თვითდამკვიდრებისთვის, შესაძლებლობების სრულად წარმოჩენის, შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისთვის.

სასახლის პირველი დირექტორი 1937-1941 წლებში იყო შალვა თევდორაძე, რომელმაც მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდო შენობის რეკონსტრუქციის საქმეს. შემდეგაც, სხვადასხვა წლებში შესანიშნავი პიროვნებანი ხელმძღვანელობდნენ აქაურობას. **დღეს მის სათავეშია ბატონი გიორგი შალამბერიძე** – თავის დროზე აკადემიკოს შოთა ძიძიგურის ღირსეული მოწაფე, რომელიც თვალისჩინივით უფრთხილდება ამ ჭეშმარიტად ეროვნული დაწესებულების სახელსა და ღირსებას.



გიორგი შალამბერიძე

– მთავარია, რომ აქ ბავშვი მოდის თავის სურვილით, – მესაუბრება ბატონი გიორგი შალამბერიძე, – გაერთიანებულია იმ წრეში, რომელიც აინტერესებს... რა დასამალია და, ბევრია სოციალურად დაუცველი ოჯახი, რომელთაც სახსარი არა აქვთ თავისი ბავშვები კერძო სტუდიებში ატარონ. ჩვენთან ასე იყო და ასეა დღესაც – სწავლა-განათლება უფასოა (ერთიორი დარგის გარდა) და მადლობის მეტი რა გვეთქმის, საერთოდ, ხელისუფლების და, კერძოდ, ქალაქის მერიის მიმართ, რომელიც ჩვენი პედაგოგების ხელფასსა და ათას სხვა რამეს აფინანსებს. მაგალითად, 1991-92 წლებში დაზიანებული თეატრალური დარბაზი ისე გაგვილამაზეს, მართლაც რომ ავ თვალს არ ენახვება.

აქ იმთავითვე ეროვნული სული ტრიალებდა, კარგად აქვს თავის მოგონებების წიგნში ნათქვამი ჩვენი სასახლის აღზრდილს ქალბატონ ლანა ღოღობერიძეს – პირდაპირ „საბჭოთა პარადოქსი“ იყო სასახლეში გამეფებული ეროვნული მუხტიო. და, სხვათა შორის, არც არავინ კრძალავდა ამ „პარადოქსის“ გაშლა-გაფურჩქვნას.

რა თქმა უნდა, დრომ და დღევანდელმა საქართველომ შეცვალა მოზარდის ცნობიერებაც, შეიცვალა სახელმძღვანელოებიც, თუმცა ბავშვებთან პედაგოგების ურთიერთობის მეთოდიკა ტრადიციული დარჩა...

სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემათა შორის ჩვენ პირველნი გადავედით განათლების სისტემის საერთაშორისო სტანდარტებზე. ამერიკის შეერთებული შტატების დეპარტამენტმა გამოგვიყო გრანტი და სასახლეში გავხსენით ამერიკული კუთხე და ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდი ყოველწლიურად ივსება, გავხდით ევროპის ბავშვთა და მოზარდთა თავისუფალი დროის ინსტიტუციების ასოციაციების წევრი, უკვე მრავალ ქვეყანაში გვყავს მეგობრები და პარტნიორი დაწესებულებები, თვის ბოლოსთვის, როდესაც სასახლის საიუბილეო თარიღის აღნიშვნას ვაპირებთ, უცხოეთის 15 ქვეყნიდან ველოდებით სტუმრებს...



ნინელი ჩიხლაძე

...აბა, სასახლიდან ისე როგორ წამოვსულიყავი, რომ ძველი მეგობარი, ნიჭიერი კინორეჟისორი და კინოოპერატორი, სასახლესთან არსებული „პიონერფილმის“ ხელმძღვანელი **გრიგოლ ჩიგოგიძე** არ მენახა?.. ბევრს ემახსოვრება, თუ რა საზეიმოდ გაუხსნეს ამ ცოტა ხნის წინათ სასახლის წინ „ვარსკვლავი“ „პიონერფილმს“, რა ჯილდოები, რა პრიზები არა აქვს მიღებული ამ ციცქნა სტუდიას, სადაც უნიჭიერესი გოგო-ბიჭები არიან გაერთიანებული. დამიჯერეთ, ეს სულ „გრიშა მასწავლებლის“ დამსახურებაა.



გრიგოლ ჩიგოგიძე

იგი გულღიად მხვდება და მაცნობს „პიონერფილმის“ წარსულსა და დღევანდელობას, მიჩვენებს ბავშვების მიერ გადაღებულ 3-5-წუთიან მშვენიერ ფილმებს ქართველ კლასიკოსებზე, ყოფით პრობლემებზე... გრიგოლ ჩიგოგიძეც სასახლის აღზრდილი ყოფილა, ნორჩ კინომექანიკოსთა წრეში სიარულით დაუწყია და აი, სტუდიას ხელმძღვანელობს. ეს ჩემი ბუდეაო, არ მალავს...

უამრავი ბავშვი მოდის, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად ნიჭიერი, მაგრამ არავის ვაგდებ, აინტერესებთ და იარონ, ქუჩაში საეჭვო დგომას, აქ სიარული სჯობს. 2500 საბავშვო სტუდია იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში და მხოლოდ ჩვენ გვაქვს მიღებული საკავშირო კომკავშირის პრემია, საუკეთესო მეგობრები გვყავს უცხოეთში, ვმონაწილეობთ კინოფესტივალებში და აი, ოქროს მედლებიც არ გვიკვირს...

...ქალბატონი **ნინელი ჩიხლაძე გვიერთდება – სასახლის ლიტერატურული სტუდიის ხელმძღვანელი,** რომლის საქმიანობა განსაკუთრებულია, თავად განსაჯეთ – იგი მწერლური ტალანტით დაჯილდოებულ გოგო-ბიჭებს აფრთიანებს, მათი ნიჭის გამოვლენას ყოველნაირად უწყობს ხელს, ისა და მისი კოლეგები ლეგენდარული პედაგოგის – ქეთევან ანანიაშვილის სახელს უფრთხილდებიან, მოსწავლეებს მშობლიური ლიტერატურის ისტორიას, ჩვენს სათაყვანო დიდოსტატთა სიყვარულს უნერგავენ, უძლიერებენ ეროვნული ღირსების შეგნებას.

– იცით, რამდენი მოდის?.. მოაქვთ საკუთარი ლექსები, ჩანახატები... აგზავნიან პერიფერიებიდან (განსაკუთრებით ქუთაისიდან, რუსთავიდან, ფოთიდან). ზოგს ვბეჭდავთ კიდეც ჩვენს გაზეთ „გაზაფხულში“... ვინა თქვა, წიგნი არ უყვარს ახალგაზრდობასო? ვერ დაგეთანხმები... ჩვენს სტუდიაში გაერთიანებული ასობით მოზარდი საკმაო წიგნიერებას ავლენს... მე დარწმუნებული ვარ, ბევრი მათგანი ღირსეული მემკვიდრე იქნება ჩვენი სასახლის აღზრდილი სიტყვის ოსტატებისა.

ნეტამც! ღმერთმა გისმინოთ ქალბატონო ნინელი!

* * *

აბა, ყველა პედაგოგ-აღმზრდელს რას ვნახავდი... ათასი მადლობა მათ ჩვენი ბავშვების მაღალსულიერი, მაღალზნეობრივი აღზრდისთვის, ყველას მივულოცოთ სასახლის 70 წლისთავის იუბილე...

გამოვდივარ დერეფანში... აგერ თვალმახარა გოგო-ბიჭები ქართული ხალხური ცეკვის რეპეტიციის წინ ილეთებს იმეორებენ, აგერ ჩონგურებით მოდიან, ეტყობა, რეპეტიცია აქვს ჩვენ ძვირფას თემურ ქევხიშვილს – სასახლის მუსიკალურ ხელმძღვანელის...

ჩამოვდივარ ქვემოთ... სასახლის ეზოში მხიარული ჟივილ-ხივილია... ბავშვები, მშობლები, ბებია-ბაბუები... ეს შენობა, მისი შემოგარენი ყველასთვის მახლობელია...

გავდივარ რუსთაველზე... შევყურებ, როგორ აბრიალებს გაზაფხულის მზე ულამაზესი შენობის სიქათქათეს და ფიქრი ლექსის სტრიქონებად მოდის:
**ჩვენი ბავშვობის სასახლე – მუდამ მზესავით ბრიალა, ყოფა რომ გაგვიხალისა და სული გაგვიკრიალა.**

ასე იყო, ასე არის, და მჯერა, რომ ასე იქნება, ეს, ჭეშმარიტად, სულიერების ოაზისი, ჩვენი თაობებისთვის.





ვილენ მარდალეიშვილი

◎ ინფორმაცია

## საკადრო ცვლილებები ჯანდაცვის სამინისტროში

ჯანდაცვის სამინისტროში საკადრო ცვლილებებია. სოციალური სააგენტოს უზრუნველყოფის ხელმძღვანელი მორის წამალაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მისი დათხოვნის მიზეზი უცნობია.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ჟურნალისტებს მისი შემცვლელი უკვე წარუდგინა. დღეიდან წამალაშვილის თანამდებობას ირაკლი ნადარეიშვილი დაიკავებს. ირაკლი ნადარეიშვილი აცხადებს, რომ სააგენტოს ძველ კურსს გააგრძელებს და, ამასთან, ბევრ სიახლეს დანერგავს.

ნადარეიშვილს დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არის პრეზიდენტის სტიპენდიატი. ასევე, დასრულებული აქვს ოქსფორდბრიუკის უნივერსიტეტი. მას სოციალური კუთხით გამოცდილებაც აქვს მიღებული. თავის დროზე მუშაობდა საერთაშორისო კორპორაცია ამ-ემ-სის სოციალური პროგრამების მართვის მენეჯერად.

გავრცელებული ინფორმაციით, წამალაშვილი, შესაძლოა, შეეწირა სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოში რამდენიმე ხნის წინათ მომხდარ სკანდალს. კერძოდ, კონტროლის პალატის დასკვნის საფუძველზე გაირკვა, რომ უმწეოთათვის გამოყოფილი დახმარებიდან სადაზღვევო კომპანიებმა დიდი თანხა მიიღეს. იმ დროს სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოს რამდენიმე პირი სამართალდამცავებმა აიყვანეს.

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

### საბაბი არ დალეოდეთ!

# დიუსელდორფის ექო

**ათიოდე დღეც და სრულიად საქართველო დიუსელდორფის ტრიუმფის 30-ე წლისთავს იზეიმებს. სრულიად საქართველო შემთხვევით არ გვიხსენებია — მაშინდელი ძლევაი საკვირველი მნიშვნელობით გასცდა სპორტული წარმატების ჩარჩოებს და აღტაცებული ერი დედაქალაქის ქუჩებში გამოიყვანა.**




ვერ გეტყვით, როგორ გამოეხმაურება მოახლოებულ საიუბილეო თარიღს ქართული საფეხბურთო სამყარო, მაგრამ საყვარელი კლუბის წინაშე ვალი პირნათლად მოიხადა საზოგადოების ღირსეულმა წარმომადგენელმა, ისტორიკოსმა და გულშემატკივარმა დურმიშხან ცინცაძემ, რომელმაც სასტუმრო „ამბასადორის“ საპრესკონფერენციო დარბაზში დინამოელთა უდიდესი მიღწევისადმი მიძღვნილი ახალი წიგნის — „ძლევაი საკვირველის“ წარდგინებაზე მიგვიწვია.

ღონისძიებას ლაიტმოტივად გასდევდა მადლიერება გამოცემის დამფინანსებლის — საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის თავკაც ალექსანდრე ებრალიძისა და ამავე ორგანიზაციის თბილისის ფილიალის დირექტორ ნანა ჯაფარიძისადმი, რომელმაც შეკრებილთ მართლაც რომ სამაგალითოდ გვიმასპინძლა.

შევიტყვეთ, რომ ბატონი ალექსანდრე ახალგაზრდობაში საქართველოს წყალბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების წევრი ყოფილა, ხოლო ქალბატონი ნანა სპორტის საყვარელ სახეობას მამამ — ბათუმის გუნდის მოთამაშემ რეზო ჯაფარიძემ („სუსლიკამ“) აზიარა. ასე რომ, შემთხვევითი სრულიადაც არ გახლავთ მათი დაინტერესება თანამემამულეთა საამაყო გამარჯვების საკადრისად აღნიშვნით.

ლამაზ, ადამიანური სითბოთი გაჯერებულ საღამოზე არაერთი კომპლიმენტი გამოითქვა არამარტო ყველაზე ბარაქიან თაობაზე, არამედ მათ სახელოვან წინამორბედებზე, ქართული ფეხბურთის მესაძირკვლეებზე, ნაშრომის ავტორზე და, განსაკუთრებით — სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის როლზე ბიჭების სულიერ მომძლავრებაში, რომლის დეპეშაც ფინალური მატჩის წინა ე. წ. „უსტანოვკაზე“ გასახდელში წაუკითხავს სულმნათ ნოდარ ახალკაცს.

ილია დათუნაშვილს, მურთაზ ხურცილავას, ალექსანდრე ჩივაძეს, ელიზბარ ჯაველიძეს, ვაჟა აზარაშვილს, ბალათერ არაბულს, ალექსანდრე კოტორაშვილს, თვით ბატონ დურმიშხან ცინცაძეს მოსაგონარს რა გამოულევდა...

ვინატროთ, მათ შთამომავლობასაც მისცემოდეს თანამედროვეთა ნაღვაწის პირუთვნელად შეფასების საბაბი.

**გია პლატონიშვილი**

### ჩოგბურთი

# მეორე ადგილით დაკმაყოფილდა



**ანტალიაში დასრულებულ ჩოგბურთელ ქალთა 10-ათასიან ტურნირში კარგად იასპარეზა 19 წლის ეკა გორგოძემ.** მეოთხედფინალში მან რუს ალექსანდრა რომანოვას მოუგო — 6:4, 7:5, ნახევარფინალში გერმანელ კატერინა ლენერატს სძლია — 6:3, 6:7, 6:2. აი, გადამწყვეტ პაექრობაში კი ჩვენებურის წინსვლა ჩრდილოელმა მეზობელმა — იანა ბუჩინამ შეაჩერა — გორგოძე ორ სეტში დანებდა (3:6, 4:6) მეტოქეს და მე-2 ადგილს დასჯერდა. ამ დღეებში იგი საქართველოს ნაკრებს ეგვიპტის დედაქალაქში შეუერთდება, სადაც ჩვენი გუნდი „ფედერაციის თასზე“ იასპარეზებს. ვაჟები „დევისის თასზე“ მალტაზე ითამაშებენ.

**ლაშა დიდია**

### ფიგურული ციგურაობა

# მოსკოვში ლოს-ანჯელესი გაიმეორა



**რუსეთის დედაქალაქში დამთავრდა ფიგურულად მოციგურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალთა შორის მედლებისთვის 21 წლის ელენე გედევანიშვილიც იბრძოდა. ასპარეზობის პირველ დღეს მოკლე პროგრამით გამოსვლისას მან რამდენიმე შეცდომა დაუშვა და მე-15 ადგილზე გავიდა. სამაგიეროდ, ქართველმა მოციგურავემ შესანიშნავად შეასრულა თავისუფალი პროგრამა და 156,24 ქულით მეთხუთმეტედან მე-10 ადგილზე გადაინაცვლა.** ეს კი ორი წლის წინათ ლოს-ანჯელესში ნაჩვენები შედეგის გამეორებაა. ჩემპიონობა იაპონელმა მიკი ანდომ (195,79) მოიპოვა. მეორე-მესამე ადგილები, შესაბამისად, იუნა კიმსა (კორეა, 194,50) და კაროლინა კოსტნერს (იტალია, 184,68) ერგოთ.

საკუთარი მიღწევა გააუმჯობესეს ყინულზე ცეკვაში ელისონ რიდმა და ოთარ ჯაფარიძემ. საბოლოოდ მათ მე-18 ადგილი დაიკავეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ამერიკელები — მერილ დევისი და ჩარლი უაითი ავიდნენ.

**გივი გაგუა**

### ჭადრაკი

# სამაისო რეიტინგით



**ფიდემ საპირველმაისოდ გამოაქვეყნა საუკეთესო მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ასეულები. მანდილოსანთა პირველ ათეულში მე-6 ადგილი ნანა ძაგნიძეს უკავია, ვაჟებში კი ბაადურ ჯობავა 2704 პუნქტით 36-ეა.**

**ქალები.** 1. იუდით პოლგარი (უნგრეთი, 2699), 2. ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2614), 3. ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2612), 4. ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი, 2567), 5. ტატიანა კოსინცევა (რუსეთი, 2559), 6. ნანა ძაგნიძე (2557), 7. ანა ზატონსკიხი (აშშ, 2537), 8. ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2537), 9. კატერინა ლახნო (უკრაინა, 2530), 10. ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2522).

**ვაჟები.** 1. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2817), 2. მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2815), 3. ლევონ არონიანი (სომხეთი, 2808), 4. ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2785), 5. ვასილ ივანჩუკი (უკრაინა, 2776), 6. სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2776), 7. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2775), 8. ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2774), 9. შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2772), ვუგარ გაშიმოვი (აზერბაიჯანი, 2760).

### ცურვა

# ბოლქვაძემ ბრესტშიც იყოჩაღა

**ათიოდე დღის წინათ მოცურავეთა საქართველოს ჩემპიონატში 17 წლის ირაკლი ბოლქვაძემ 200 მეტრი ბრასით 2.24.00-ში გაცურა და ახალგაზრდებში ქვეყნის რეკორდი გააუმჯობესა. გასულ უქმეებზე ქართველმა სპორტსმენმა ბრესტში ბელარუსის ღია პირველობაზეც მოსინჯა ძალები.** ფინალური გაცურვისას ირაკლიმ იგივე დისტანცია 2.21,8-ში დაფარა და უკვე უფროსებში საქართველოს რეკორდით ბრესტის ტურნირის ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

საგულისხმოა, რომ ბოლქვაძე ივლისის მიწურულს შანხაიში (ჩინეთი) მსოფლიოს ჩემპიონატში იასპარეზებს.



### რაგბი

# აია „აია“

**გასულ უქმეებზე საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის მე-3 ტურის მატჩები გაიმართა.** ქუთაისის „აიამ“ მალთაყვაში თბილისის „არმაზს“ 36:16 მოუგო და 6 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა. ლიდერთან გათანაბრების შანსი ჰქონდა საქართველოს თასის მფლობელ „ლელოს“, რომელიც პირველი ტაიმის შემდეგ 18:13-ს უგებდა ჩემპიონატის დებიუტანტ „არმიას“, მაგრამ ძალოვანებმა შესვენების შემდეგ იძალეს და მეტოქეს პირველი მარცხი აგემეს — 23:21. **დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა:** „ლოკომოტივი“ — „ყოჩები“ 33:17, „ხარები“ — „აკადემია“ — 22:19.

**სატურნირო მდგომარეობა:** „აია“ — 6 (+73), 2. „ლელო“ — 4 (+30), 3. „ლოკომოტივი“ — 4 (+18), 4. „არმია“ — 4 (-2), 5. „აკადემია“ — 2 (-17), 6. „არმაზი“ — 2 (-28), 7. „ხარები“ — 2 (-38), „ყოჩები“ — 0 (-36) ქულა.



### ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**ეროვნული ჩემპიონატის XXXII ტური.** „ზესტაფონი“ — „ბაია“ 3:0, „ცხინვალი“ — „ოლიმპი“ 0:2, „დინამო“ — „კოლხეთი“ 4:2, „ტორპედო“ — „სამტრედია“ 2:1, „ვიტ ჯორჯია“ — „სიონი“ 3:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ზესტაფონი“ — 69, „დინამო“ — 63, „ოლიმპი“ — 60 ქულა.

* * *



საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრები სტოკჰოლმში გამართული უეფას ყოფილი პრეზიდენტის ლენარტ იუჰანსონის თასის გათამაშების გამარჯვებული გახდა. მართალია, ნოდარ აკობიას შეგირდებმა ტურნირი მარცხით დაიწყეს, მაგრამ შემდეგ ყველა მეტოქეს სძლიეს, მათ შორის ამსტერდამის „აიაქსსა“ და ფინალში — ტურინის „იუვენტუსს“ — 1:0. „ოქროს“ გოლი „ბებერი ქალბატონის“ კარში გოშთელიანმა გაიტანა“.

14-წლიანთა ასპარეზობაში ჩვენმა თანამემამულეებმა III ადგილი დაიკავეს.

ფუტსალში ქვეყნის ჩემპიონი ზედიზედ მეცხრედ(!) გახდა თბილისის „იბერია სთარი“, რომელმაც მორიგი ტიტული ვადამდე გაინაღდა კლუბის დამფუძნებლის ავთანდილ წერეთლის დაბადების დღეზე.

* * *

**იტალია.** „მილანი“ — „ბოლონია“ 1:0, „ჩეზენა“ — „ინტერი“ 1:2, „ნაპოლი“ — „ჯენოა“ 1:0, „ბარი“ — „რომა“ 2:3, „ფიორენტინა“ — „უდინეზე“ 5:2.

**ესპანეთი.** „სოსიედადი“ — „ბარსელონა“ 2:1, „რეალი“ — „სარაგოსა“ 2:3, „ოსასუნა“ — „ვალენსია“ 1:0, „ვილიარეალი“ — „ხეტაფე“ 2:1, „დეპორტივო“ — „ატლეტიკო“ 0:1.

**ინგლისი.** „არსენალი“ — „მანჩესტერი“ 1:0, „ჩელსი“ — „ტოტენჰემი“ 2:1, „სიტი“ — „ვესტ ჰემი“ 2:1, „ლივერპული“ — „ნიუკასლი“ 3:0.

**გერმანია.** „ბორუსია“ — „ნიურნბერგი“ 2:0, „კიოლნი“ — „ლევერკუზენი“ 2:0, „ბაიერნი“ — „შალკე“ 4:1, „ჰანოვერი“ — „გლადბახი“ 0:1.

**გიორგი შოთაძე**

### წყალბურთი

# „ლიგამუსმა“ ყველას აჯობა

**1997-1998 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა საქართველოს პირველობაში 8 გუნდი მონაწილეობდა. ქვეჯგუფებში გამართული ორთაბრძოლების შემდეგ ნახევარფინალში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საწყლოსნო კლუბ „ლიგამუსის“ წარმომადგენლებმა „ქუთაისს“ მოუგეს 23:1, „ივერიის“ პირველმა გუნდმა კი „ბათუმს“ სძლია 20:2.**

ფინალში ლიგამუსელებმა (ილია გიგაური, ჯემალ ზაზაძე, ლაშა ბერიშვილი, რეზი იმნაიშვილი, მამუკა თუხარელი, ვიქტორ გვიმრაძე, გიორგი ჭედია, ილია დუმბაძე, ალეკო ფირცხალავა, თედო შავიშვილი, ირაკლი რაზმაძე, ზურაბ კვირკველია, ლუკა მგელაძე, ლევან მოსეშვილი, გოჩა ვადაჭკორია, დაჩი ხეჩუაშვილი, მთავარი მწვრთნელი სოსო მაისურაძე) ერთი ბურთის სხვაობით (8:7) აჯობეს ივერიელებს და ოქროს მედლები მოიპოვეს. „ბრინჯაოსთვის“ პაექრობაში „ბათუმმა“ „ქუთაისი“ დაჯაბნა — 9:4.

ზაფხულში გამარჯვებულნი უკრაინის ღია ჩემპიონატში ითამაშებენ მასპინძლებთან, ბელარუსებთან და მოლდოველებთან ერთად.

**ლექსო ცინცაძე**



**სურათზე: საქართველოს ჩემპიონი „ლიგამუსი“.**

**შალვა დევნოზაშვილის ფოტო.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

◉ „ჟურნალისტის ბიბლიოთეკა“

# ჟურნალისტური მეცნიერების მიღწევა

**„ჟურნალისტიკათმცოდნეობა მომიჯნავე დისციპლინათა ჭრილში“ – ამ სახელწოდებით „უნივერსალმა“ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დიანა ტყებუჩავას მონოგრაფია დასტამბა. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა ამ მონოგრაფიით „ჟურნალისტის ბიბლიოთეკის“ სერიის გამოცემა დაიწყო.**

მეორე გამოცემას საფუძვლად უდევს ავტორის მიერ 2000-2005 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მაგისტრანტებისთვის წაკითხული შევსებულ-გადამუშავებული სალექციო კურსი. დიანა ტყებუჩავამ პირველმა ქართულ ჟურნალისტიკამცოდნეობაში გამოიყენა სისტემური ანალიზის მეთოდი პუბლიცისტური ტექსტის ფუნქციურ-ტიპოლოგიური კვლევის მიზნით მონოგრაფიაში „პუბლიცისტური ტექსტის შინაარსობრივი ელემენტები“ (თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1997წ.

უხვი საილუსტრაციო მასალის ანალიზის საფუძველზე ავტორი იკვლევს ჟურნალისტური მოღვაწეობის ფსიქოლოგიურ ასპექტებს, გნოსეოლოგიურ პარადოქსებს პუბლიცისტიკაში, ქვეცნობიერის ფაქტორსა და პუბლიცისტური შემოქმედების იმპულსებს...

„ეყრდნობა რა ჰერმენევტიკის ცნობილ წარმომადგენლებს – შლეიერმახერს, დილთაის, ჰადამერს და სხვებს, მკვლევარი სავსებით სამართლიანად მიიჩნევს, რომ პუბლიცისტური ტექსტის გაგებისათვის აუცილებელია ე. წ. „ჰერმენევტიკული წრის“ გათვალისწინება, რომლისთვისაც ისაა დამახასიათებელი, რომ ნაწილი გაიგება მთლიანად და პირიქით, მთელი – ნაწილიდან...

ასე შემოაქვს პროფესორ დიანა ტყებუჩავას ჟურნალისტიკამცოდნეობაში ამ დისციპლინისთვის აქამდე შედარებით უცხო ცნებები: ჰერმენევტიკა, გაგება, „ჰერმენევტული წრე“, „ინტერპრეტაციის ხელოვნება“, – წერს აკადემიკოსი რევაზ ბალანჩივაძე. მისივე შეფასებით, დიანა ტყებუჩავას მონოგრაფია ჟურნალისტური მეცნიერების დიდი მიღწევაა.

მონოგრაფია უთუოდ საინტერესო და სასარგებლო იქნება დისციპლინათ შორისი კვლევებით დაინტერესებული თეორეტიკოსების, სტუდენტებისა და პრაქტიკოს-ჟურნალისტებისთვის.

„ჟურნალისტის ბიბლიოთეკის“ სარედაქციო კოლეგიაში არიან: აკადემიკოსი რევაზ ბალანჩივაძე, აკადემიკოსი ნოდარ ტაბიძე, პროფესორები: დიანა ტყებუჩავა (მთავარი რედაქტორიძ, გივი კაპანაძე, ზურლან გემაზაშვილი, ლიანა ფერაძე, მანანა დათუკიშვილი, ნანა ტალახაძე, ხათუნა კაჭარავა, მაია ნადარეიშვილი, მარი წერეთელი, მანანა შამილიშვილი, გოჩა ხუნდაძე, ნაზი აროშიძე, ნუგზარ ნაცვლიშვილი.

„ჟურნალისტის ბიბლიოთეკის“ სარედაქციო კოლეგია დიდ მადლობას უხდის კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დამფუძნებლებს, ბატონებს: ვახტანგ წივწივაძეს, ვასილ ჩიგოგიძეს, ვაგიფ სადიხ ზადესა და ახმად ვალიევს პროექტის ფინანსური მხარდაჭერისთვის. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ამ მონოგრაფიით იწყებს „ჟურნალისტის ბიბლიოთეკის“ თეორიის გამოცემას.




ერთ ქვეთავში, რომელსაც ჰქვია „ფიქრები ზნეობრივ ფასეულობებზე ჟურნალისტიკაში“ ქალბატონი დიანა იმოწმებს ილია ჭავჭავაძის სიტყვებს: „გახსოვდეს ყოველთვის, რომ ქვეყანაზედ ქაღალდის გარდა არის კიდევ სინდისი, რომელზედაც იწერება პირობა იმ სიმკვიდრით და სიმტკიცით, რომ არავითარი ძალა არ ამოშლის და გააუქმებს“.

მის მონოგრაფიასაც ეს მრწამსი ასაზრდოებს.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◉ საყურადღებოა!

# აქტიური დღეები მაისში

**გრაფიკის მიხედვით მინიმუმების დღეებში: 5-ში, 9-ში, 22-სა და 26-ში შეიძლება შეინიშნებოდეს სისუსტე და ძალთა დაქვეითება. ამ შემთხვევაში რეკომენდებულია შევამციროთ დატვირთვა და გავზარდოთ დასვენების დღეები.**

**თვის დაძაბული დღეებია: 3 (10-12), 11 (07-09), 14 (14-16), 17 (15-17), 20 (12-14), 24 (18-23), 27 (12-14), 29 (14-16), 30 (21-23), 31 (19-21).**

**მაისში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია რიცხვეში: 3, 6,7, 11,14, 16,17, 19-21, 24, 27-31. ამ დღეებში მოსალოდნელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება, ყველა სახის ავარიულობის ზრდა, სეისმოაქტიურობის გაძლიერება და დაძაბულობა სოციუმში.**

**3 – ახალი მთვარე.** მოწყვლადია კისერი, ყელი, ფარისებრი ჯირკვლები, ბრონქები. რეკომენდებულია არ დავძაბოთ ხმა, გაუფრთხილდით ყელის გაცივებას. დიდია გაცივებისა და ანგინის საფრთხე, ძლიერია რეაქცია დაბალი ხარისხის პროდუქციაზე. ერიდეთ წყალდიდობას, შხამიანი სითხეების გადინებას, გაზით მოწამვლას. სასარგებლოა წყლის პროცედურები, ოდნავი შეზღუდვა კვებაში.

**11 – მთვარის პირველი მეოთხედი.** შესაძლებელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. არ არის გამორიცხული პათოლოგიური და არაადეკვატური რეაქციები, ზიზღი, ყველას გაკრიტიკების სურვილი, უყურადღებობა. სტრესის გამო შეიძლება გაჩნდეს ნერვული სისტემის დაავადებანი, ნევრალგია, მოხდება ძილისა და საკვების გადამუშავების დარღვევები. ნერვული სისტემის დამშვიდებაში დაგვეხმარება არომა-ფიტოთერაპია, მუსიკა, გასეირნება, ინტელექტუალური მუშაობა. ხელსაყრელი დროა პროფილაქტიკური დათვალიერებისთვის, სერიოზული მკურნალობისთვის.

**14 – მთვარე-სატურნის შეერთება, დაძაბული მთვარის ასპექტები.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია საყრდენი და მოძრავი აპარატის დაავადებათა გამწვავება. რეკომენდებულია გამოვრიცხოთ მწვავე და მლაშე პროდუქტები, ალკოჰოლი, დავიცვათ სითბოს რეჟიმი, არ დავუშვათ ორგანიზმის გაცივება (განსაკუთრებით თირკმელებისა და შარდის ბუშტის მიდამოებშიძ, უარი ვთქვათ მძიმე ფიზიკურ მუშაობაზე. ერიდეთ ტრავმატიზმს, რადიაციას, ფრთხილად იყავით საწვავთან და შხამიან სითხეებთან, პიროტექნიკასთან. დღეს რეკომენდებული არ არის ახალი საქმეების წამოწყება. ხელსაყრელი დროა ურთიერთობისთვის, შერიგებისთვის, აქტიური დასვენებისთვის.

**17 – სრული მთვარე.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია პათოლოგიური და არაადეკვატური რეაქციები, დაბნეულობა. არის სისხლის, ფილტვებისა და ნერვული სისტემის, ღვიძლის დაავადებათა გამწვავების საფრთხე. არ არის გამორიცხული ვენებისა და რადიკულიტის დაავადებანი. რეკომენდებულია დავიცვათ დიეტა, არ გადავტვირთოთ ღვიძლი მაღალკალორიული საკვებით, ვერიდოთ კონფლიქტებს, არ გადავვალოთ ფეხები ხანგრძლივი დატვირთვით. შეინარჩუნეთ იუმორის გრძნობა და ოპტიმიზმი. ხელსაყრელი დროა კონტაქტების მოწესრიგებისთვის, ფიზიკური ვარჯიშებისთვის, სეირნობისთვის.

**20 – მთვარე-პლუტონიუმის შეერთება, დაძაბული მთვარის ასპექტები.** შესაძლებელია გაღიზიანება, აგრესიულობა, განუჭვრეტელი ქცევა, მოძრაობისა და საყრდენი აპარატების დაავადებათა გამწვავება. ერიდეთ გაცივებას, უარი თქვით მძიმე ფიზიკურ სამუშაოებზე და ვარჯიშებზე, გაუფრთხილდით მუხლებს, ხერხემალს. ფრთხილად იყავით ცეცხლთან, პიროტექნიკასთან, ცეცხლსასროლ იარაღთან, ერიდეთ ტრავმატიზმს. სოციუმში დაძაბულობაა, არ არის გამორიცხული შეიარაღებული შეტაკება, ამიტომ სასურველია ერიდოთ ხალხთან დიდ თავშეყრას. ხელსაყრელი დროა სერიოზული მუშაობისთვის.



**24 – მთვარის უკანასკნელი მეოთხედი, მთვარე-ნეპტუნის შეერთება.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები, ნალექები. შესაძლებელია ფსიქოპათიური და არაადეკვატური რეაქციები, დაბნეულობა, „ჰაერში ნავარდი“, შინაგანი შეშფოთება. არის მაღალი მგრძნობელობის ალბათობა სამკურნალო პრეპარატებისადმი და ალკოჰოლისადმი, მიდრეკილება კანის დაავადებებისადმი. არ არის გამორიცხული ტკივილები ტერფებში, კანკალი ფეხის კუნთებში. ერიდეთ ტრავმატიზმს, გაზის გადინებას, სამკურნალო პრეპარატების დოზების გადაჭარბებას, შხამიანის სითხეებით მოწამვლას, მოტყუებას. ფრთხილად გამოიყენეთ საყოფაცხოვრებო ქიმიის საშუალებები. სასარგებლოა წყლის პროცედურები და ტერფის რეფრექტორული ზონის მასაჟი.

**27 – მთვარე-ურანის შეერთება, მთვარის აპოგეი.** ადამიანური ფაქტორი – არაადეკვატური ქცევა, ფსიქოპათიური რეაქციები, გაღიზიანება, მოუთმენლობა. შეიძლება გაჩნდეს თავის, ყურებისა და თვალების დაავადებანი, თავის ტკივილი და უძილობა. ერიდეთ გადაღლას, კონფლიქტურ სიტუაციებს. არის დაცემის, ტრავმატიზმის, რადიაციის, პიროტექნიკის საფრთხე. უყურადღებოდ ნუ დატოვებთ ჩართულ ელექტროხელსაწყოებს, ფრთხილად მოეპყარით ელექტრომოწყობილობებს. ხელსაყრელია გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, ზომიერი ფიზიკური ვარჯიშები, სეირნობა.

**29 – მთვარე-იუპიტერის შეერთება.** შესაძლებელია გაღიზიანება, აფეთქება, თავის ტკივილი, მშფოთვარე ძილი. რეკომენდებულია ვერიდოთ სტრესულ სიტუაციებს, გამაღიზიანებელ საშუალებებს, მოწევას, ყავასა და შოკოლადს. სასურველია, უარი ვთქვათ ცხიმიან და მძიმე საკვებზე, რათა არ გადავტვირთოთ ღვიძლი. კარგია სუფთა წყლის სმა, ნუ გადავღლით თვალებს, ვივარჯიშოთ და არ გადავიტვირთოთ ფიზიკური შრომით. რეკომენდებულია ფრთხილად მოვეპყრათ ცეცხლს.

**30 – მთვარე-მარსის შეერთება.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. ადამიანური ფაქტორი – გაღიზიანება, აგრესიულობა, ჯიუტობა. შესაძლებელია თავის, ყელ-ყურის, კისრის, ფილტვების, ბრონქების დაავადებანი. რეკომენდებულია არ დავძაბოთ ხმა, ერიდეთ გაცივებას, კონფლიქტურ სიტუაციებს. გაუფრთხილდით თავს დარტყმებისგან, პარტნიორებთან ანგარიშსწორება სხვა დროისთვის გადადეთ. საფრთხე – ტრავმატიზმი მჩხვლეტავი და მჭრელი ინსტრუმენტებისგან, ცეცხლსასროლი იარაღი.

**31 – მთვარის შეერთება ვენერასთან და მერკურთან.** შესაძლებელია ყელის, კისრის, ფილტვებისა და ბრონქების დაავადებანი, ნევრალგია და ტკივილები ხელში. მოარიდეთ ხელები ცხელ და მჭრელ საგნებს, ერიდეთ გაცივებას, გამოიყენეთ მხოლოდ ხარისხიანი პროდუქტები. არ არის გამორიცხული შეფერხებები ელექტრონიკასა და კავშირგაბმულობის ხაზებზე. ყურადღებით იყავით საჭესთან, დოკუმენტის შედგენისა და ხელმოწერის დროს. ხელსაყრელი დროა სახლის კეთილმოწყობისთვის, მეგობრული შეხვედრებისთვის, სეირნობისა და დასვენებისთვის.

---

**დედა ლამარა კანდელაკი, შვილი ვახტანგ ქარუმიძე, დები მარინე, ნანა ქარუმიძეები, სიძე გელა გელაშვილი, შვილიშვილი გიორგი გელაშვილი, ბიძაშვილები მერი და ვანო ქარუმიძეები, დეიდა ნელი კანდელაკი, დეიდაშვილები მაია და დათო მამულაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**მამუკა ვახტანგის ძე ქარუმიძე**

**გამოსვენება 3 V 13 სთ. საბურთალოს ქ. 40. I კორ. დაკრძალვა სოფელ ხაშმში.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩვენი გაზეთის ერთ-ერთი ყოფილი ხელმძღვანელის ვახტანგ ქარუმიძის ვაჟი**

**მამუკა ქარუმიძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ მამუკა და მანანა დანელიებს შვილის**

**ნინოს**

**გარდაცვალების გამო.**

---

**ფრიდონ ინჯია, ავთანდილ იაშვილი, მამია სულაბერიძე, ვახტანგ თოდუა, რემი გველესიანი, ბორის ბოჭორიშვილი, იულონ სამადალაშვილი, კოტე სამუშია, იზო გოცირიძე, თეიმურაზ ღოღობერიძე, ნუგზარ კვიკვინია ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ უახლოესი მეგობრის, ღირსეული ოჯახის თავკაცის, საყვარელი მამისა და ბაბუის**

**ელდარ დეკანოსიძის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.**

---



**ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მთავარი მეცნიერი მუშაკის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, საინჟინრო და ეკოლოგიური აკადემიების აკადემიკოსის, პროფესორ**

**გერონტი იოსების ძე ხარაიშვილის**

**გარდაცვალებას და მწუხარებაში თანაუგრძნობენ ოჯახს.**

---

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ინსტიტუტის ფარმაკოლოგიური კვლევის განყოფილების გამგეს, ფარმაციის აკადემიურ დოქტორს კარენ მულკიჯანიანს დედის**

**ვარვარა მულკიჯანიანის**

**გარდაცვალების გამო.**

**რეკლამა**
*„საქართველოს ესპუბლიკაში“*
**99-62-77;**
**899 32-85-76.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

## დაიჯესტი

### ბინაც ამას ჰქვია!



**პოპულარულმა რუსეთელმა კომპოზიტორმა იგორ კრუტოიმ ნიუ-იორკში, ყოფილ სასტუმრო კომპლექსში „პლაზა ოტელ რეზიდანსში“, მანჰეტენზე, ცენტრალური პარკის მახლობლად, 560 კვადრატული მეტრი ფართის აპარტამენტები იყიდა.** ამერიკული გამოცემის „უოლ-სტრიტ ჯორნელის“ ცნობით, რომელიც „მილერ სამუელის“ სააგენტოს იმოწმებს, გარიგების ფასი 48 მილიონი დოლარია. ამასთან დაკავშირებით ჟურნალი შენიშნავს, რომ ეს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ყველაზე დიდი გარიგებაა ფინანსური კრიზისის დაწყების შემდეგ, რომლითაც კრუტოიმ დედამიწის ყველაზე მდიდარ კაცს, წარმოშობით მექსიკელ მილიარდერ კარლოს სლიმსაც კი გაუსწრო, რომელმაც მეხუთე ავენიუზე ბინაში 44 მილიონი დოლარი გადაიხადა.

### რა ღირს ჩვენი დროის ერთი წუთი?

**რომელ ჩვენგანს ერთხელ მაინც არ უოცნებია დროის შეკუმშვაზე, ყველაფრის მოსწრებაზე, დღე-ღამეში თუნდაც ერთი საათის მოგებაზე? არადა, ეს თითქოსდა ყოველგვარ რეალურ საფუძველს მოკლებული ოცნება, თურმე, სავსებით განსახორციელებელი ყოფილა...**

„დრო – ფულია!“ ამ ამერიკულ გამოთქმას ყოველ დღე მსოფლიოში აუარება ხალხი იმეორებს. ინგლისელმა პროფესორმა იან უოლკერმა ამ თეზისის მათემატიკურად დამტკიცება შეძლო და სახელიც გაითქვა. მისი ფორმულით, თუკი გვეცოდინება შემოსავალი, გადასახადები და პრემიები,



შეიძლება გამოვიანგარიშოთ, თუ რა ღირს ჩვენი ცხოვრების თითოეული წუთი. როცა ძაღლს ვასეირნებთ, ან ტელევიზორს ვუყურებთ, ჩვენ დროს ვკარგავთ. მაგალითად, კბილის წმენდის სამი წუთი 45 ცენტი ღირს. ახლა ძილს რა დრო მიაქვს...

პროფესორ უოლკერის მეთოდით დროის ღირებულების გათვლის სისტემა დიდად პოპულარულია ამერიკასა და ინგლისში. იგი საშუალებას იძლევა თავად გამოვიანგარიშოთ, ვთქვათ, რა უმჯობესია: კაცმა თავისით დაალაგოს სახლი თუ სხვა კაცი დაიქირაოს, რომლის დრო უფრო იაფი ღირს? მაგალითად, სისხლის სამართლის საქმეთა ადვოკატმა სარა ენდრიუსმა გამოიანგარიშა, რომ მისი დროის ერთი წუთი 10 დოლარი ღირს, ამიტომ მისი ქალიშვილი სკოლის შემდეგ მასწავლებლებთან მეცადინეობს, რომელთა დრო ათჯერ უფრო იაფი ღირს.

როცა ზარმაცებს სიბეჯითისკენ მოუწოდებენ, ამერიკაში ახალგაზრდებს აშინებენ: „საქმეს იქამდე მიიყვან, რომ „მაკდონალდსში“ იმუშავებ!“, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდა დროსაც დაკარგავს და ფულსაც.

ინტერიერების დიზაინერ ქეთრინ ჯონსს უხარია, როცა საახალწლოდ მუშაობის შესაძლებლობა აქვს – მაშინ მისი დროის ფასი ორმაგდება...

### ყინულის კაცი

**ჰოლანდიელი ვიმ ჰოფი ჭეშმარიტად ფენომენალური ვინმეა. ამ 52 წლის კაცმა, შორტებში გამოწყობილმა, პოლარული ზონის 42 კილომეტრი გაიარა, ტოკიოში ყინულის გროვაში საათი და 45 წუთი დაჰყო, ფეხშიშველა ავიდა კილიმანჯაროზე. თავისი უჩვეულო „გმირობების“ გამო მას „ყინულის კაცი“ შეარქვეს.**



მისი აზრით, თუკი კაცი სხეულს სიცივეს შეაჩვევს, ეს მას მრავალ სნეულებას გადაარჩენს. იგი ამბობს, რომ ამ შემთხვევაში გული უფრო დიდხანს იმუშავებს და არც ინფარქტი მოუვა. ცოტა ხნის წინათ კი ნიუ-იორკში, ფაინშტაინის ინსტიტუტში მკვლევართა ჯგუფმა მასზე ცდები ჩაატარა. ვიმ ჰოფს ვენაში ტოქსინებს, ფაქტობრივად, სუფთა შხამს უკეთებდნენ, რის შედეგად მას თავის ტკივილი უნდა დაწყებოდა და გულისრევის შეგრძნება გასჩენოდა, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა.

– ჩემი იმუნიტეტი იმდენად ძლიერია, რომ ტოქსინებს ჩანასახშივე სპობს, – ამბობს იგი. – რაც შეეხება კიბოს, ის კაცს უცბად მეოთხე სტადიიდან ხომ არ უტევს, მართალია? ამიტომ ყველამ საკუთარ ჯანმრთელობას თავად უნდა მიხედოს, სხეული გაიკაჟოს, ყინულივით ცივ წყალს მიეჩვიოს, შედეგად კი არანაირი სიმსივნე არ წარმოეშვება.

არანაირ სპეციალურ დიეტას არ ვიცავ, ვჭამ ყველაფერს და არც არაფერს ვიკლებ. თამბაქოს მოწევის უფლებას ვაძლევ თავს, ვსვამ კიდეც, არც დანარჩენ „რამერუმეებს“ ვერიდები. ხუთი შვილი მყავს. მე არც ფანატიკოსი ვარ, არც ბერი, თან ექსპერიმენტებიც მიყვარს. ერთხელ მთელ თვეს არაფერს ვჭამდი იმიტომ, რომ გამეგო, იძლევა თუ არა შიმშილობა სიმსუბუქის შეგრძნებას და თავის ტვინზე უკეთ კონტროლს თუ უწყობს ხელს. თავიდან ცოტა კი გამიჭირდა, მაგრამ ხუთი დღის შემდეგ არანაირი დისკომფორტი აღარ მიგრძვნია...

### უცხოპლანეტელთა ვიზიტები ეჭვს არ იწვევს

**ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიებათა ფედერალურმა სამსახურმა (გფსძ გამოაქვეყნა დოკუმენტები დედამიწაზე მფრინავი თეფშების ვიზიტების შესახებ.**

ერთ-ერთი აგენტის პატაკის თანახმად, რომელიც 1947 წელს ნიუ-მექსიკოს შტატში სამი „მფრინავი თეფშის“ ავარიას შეეხებოდა, თითოეულში სამ-სამი



ჰუმანოიდის ცხედარი აღმოაჩინეს. მათი სიმაღლე ერთ მეტრს არ აღემატებოდა, ტანთ უთხელესი ლითონის ქსოვილის სამოსელი ეცვათ. ასეთი ცნობები შეუძლებელი იყო პენტაგონისა და სახელმწიფო დეპარტამენტის ნებართვის გარეშე გამოექვეყნებინათ, მიაჩნიათ ექსპერტებს. თეთრი სახლიდან მიღებული დოკუმენტების ანალიზით ირკვევა, რომ ამერიკის ყველა ლიდერი უდიდეს ყურადღებას უთმობდა დედამიწაზე უცხოპლანეტელთა ვიზიტებს. 1969 წელს პრეზიდენტ ნიქსონის მიერ დახურულ პროექტში „ლურჯი წიგნი“, დედამიწაზე უცხო ცივილიზაციების წარმომადგენელთა ვიზიტების შესახებ 135 ათასი ცნობაა თავმოყრილი. სამხედროები ამის თაობაზე ინფორმაციებს დღესდღეობითაც აგროვებენ.

## მილოცვა

**საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება“ გულითადად ულოცავს დაბადების საიუბილეო 70 წელს, დიდ ქართველ მამულიშვილს, თავისი ქვეყნისა და ერის გულმხურვალე პატრიოტს, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონსა და საჭადრაკო ოლიმპიადების თერთმეტგზის გამარჯვებულს, საერთაშორისო დიდოსტატს ქალთა და ვაჟთა შორის ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს.**

**ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ოჯახისა და ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისთვის ბრძოლაში.**

ღრმა პატივისცემით
**ბონდო კობაძე**
ფონდის პრეზიდენტი,
„წმინდა ექვთიმე თაყაიშვილის“ პრემიის ლაურეატი.



1977 წ. 7 სექტემბერი. ერთდროული თამაშის სეანსი კვების მრეწველობის სამინისტროში.

## ინფორმაცია

### ავტოავარიის დროს ცხრა ადამიანი დაშავდა

**ცხრა ადამიანი დაშავდა გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში ავტოკატასტროფის შედეგად. ნისლით განპირობებული ცუდი ხილვადობის გამო ოპელის მარკის ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და მერსედესს შეეჯახა.**

**ავარიის შედეგად დაშავებულები ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათ დაჟეჟილობები და მოტეხილობა აღენიშნებათ.**

**ამჟამად დაშავებულთა მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.**

## ი ყ ი დ ე ბ ა,   ქ ი რ ა ვ დ ე ბ ა !

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ
ვრცელი ფართობი (180 კვ.მ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით. 868 838 858

## კადრი



## ანეკდოტები

– ახლახან ჩამოვედი ვატიკანიდან, – ეუბნება სნობი თავის ძმაკაცს, – რომის პაპმა მიმიღო და ერთი საათი მელაპარაკა.
– ვიცი, პაპმა უკვე დამირეკა.

* * *

– თუ ოდეკოლონს ვარგისიანობის ვადა გაუვიდა, იგი მხოლოდ გარეგანი გამოყენებისთვის უნდა იხმარო, – ეუბნება ივანიჩი შვილს.

* * *

– ვის უნდა ჰგავდეს ბავშვი? – ეკითხება დაშა ნატაშას.
– რა თქმა უნდა, მამას.
– სულელი ხარ! ბავშვი ქმარს უნდა ჰგავდეს!

* * *



– ბიჭო, სულ გარე-გარე რომ დადიხარ, არ გეშინია? ცოლმა რომ გაგიგოს, ხომ მოგკლავს? იგი ხომ ნამდვილი მხეცია! – ეუბნება ივანიჩს ძმაკაცი.
– საუკეთესო შემთხვევაში, განქორწინებაზე შეიტანს განცხადებას.
– ჰო? უკვე იმისი კითხვისაც კი მეშინია, რა იქნება ცუდ შემთხვევაში.
– ცუდ შემთხვევაში, არ შეიტანს განცხადებას.

* * *

– ლენოჩკა, ჩემო ერთავ! კვლავ დაგრჩა ჩემთან შენი ბიკინები.
– ეს ბიკინები კვლავ არ არის ჩემი.

* * *

– ყველა დაავადების საუკეთესო წამალი ფულია!
– ექიმო, გამომიწერეთ რეცეპტი.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24